# საერთო გაზეთი

№32/9 (392) • 2 სექტემბერი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება



**ზაზა ხუციშვილი:**

## პოლიტიკა რაღაცით ჰგავს მუსიკას – იქაც და აქაც, მთავარია, რიტმში ჩაჯდე და ამ რიტმიდან არ ამოვარდე...

„სტიქიური უბედურებების შემდეგ, შვიდი საბავშვო ბაღი აშენდა, ამ შვიდიდან ოთხი უკვე გახსნილია და სამი უახლოეს დღეებში გაიხსნება. სამი ბაღი, რომლებშიც ნაციონალების შტაბი იყო, გარემონტების შემდეგ, რასაც დიდი ფინანსური სახსრები ჭირდება, ბავშვებს დაუბრუნდება“.



**ლალი მოროშკინა:**

## სანდრა რულოვსი როგორ ბედავს და როგორ ჩადის იმ ქალაქში, სადაც ბიჭებს წამებით სული ამოხადეს

მარგალეფიშ ნოსა ვორექ დო მა ვორდა ჯოღორიშ სკუა, იფრელ ვაფთქუადა...



## „პარტიზანულ მებაღეობას“ თბილისური „მაიდნისთვის“ პლაცდარმის მომზადება აქვს დავალებული

„პარტიზანული მებაღეობა“ და მისი ხელმძღვანელი ნატა ფერაძე პირდაპირ ოდესიდან იმართებიან

## „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ

## „ჰეროკრატია“

„ეპიზოდები ნამდვილად მძიმეა და ამაზე არ ვდაობ, მაგრამ ეს ყველაფერი რეალურია. გადაღებულია რეალურ ისტორიებზე. ეს ყველაფერი, ძალიან ბევრ ადამიანს შეეხო. ისტორიები რეალურია და არაფერი დაგვიდგამს“.

## მაიმუნებისა და ვირიშვილების შესახებ

მაიმუნს თუ მაიმუნი არ უწოდე, ბანდიტს – ბანდიტი, ფარისეველს – ფარისეველი და ყველას სათანადო პასუხი არ მოსთხოვე და ის არ მიუზღე, რაც ეკუთვნის, ქვეყანა შეიძლება საგიჟეთს დაემსგავსოს...

## სად იყავი, სად იყავი მაშინ...

„მე არც სადღაც მყოფი პრეზიდენტი მინდა და არც თავად მსურს სადღაც ყოფნა... არც მუდმივად ყოფილების ხილვა მსურს, ამოხვედით ყელში ყოფილი კომკავშირლები, მოქკავშირლები და ყოფილი ნაცებიც“...

## 2016 წელი პასუხისმგებლობის აღსრულების წელიწადია

# მაიმუნებისა და ვირიშვილების შესახებ

რესპუბლიკის მთავარი მაიმუნთსაშენიდან, მაიმუნთსაშენის დირექტორის და პოლიტინსტრუქტორების მიერ სათანადოდ გაწვრთნილი და დატრენინგებული მაიმუნები ხან მერიას შეესევიან, ხან ბოტანიკურ ბაღს და ისეთ ჟრიამულს და წივილ-კივილს ატეხენ ხოლმე, გეგონება, ქვეყანა იქცევაო.

— დიახ, ქვეყანა იქცევა და ჩვენ, მაიმუნებმა, უნდა გადავარჩინოთო, — წიოკობენ მაიმუნები და მათ წიოკს პოლიტიკურად მოტივირებული ვირიშვილები ბანს აყოლებენ.

ამ მაიმუნი ვირიშვილების თუ ვირიშვილი მაიმუნების დესანტს ერთი პარტიული დავალება აქვს მიღებული: არჩევნების წინა პერიოდში რაც შეიძლება მეტი იხმაურონ და იყაყანონ, შექმნან ქვეყანაში არასტაბილურობის ილუზია, ხელისუფლებას დააბრალონ ყველაფერი, რისი დაბრალებაც კი შეიძლება, სიმართლედ გაასაღონ ნებისმიერი სიცრუე, მოაწყონ პროვოკაციები, ადამიანები გამოიყვანონ წონასწორობიდან და ა. შ. და ა. შ.

ვინც ყოველივე ამას მიზანმიმართულად და შეგნებულად აკეთებს, ის, რა თქმა უნდა, მაიმუნიც არის, ვირიშვილიც არის და კიდევ უფრო უარესიც, თუმცა ამის თქმა, როგორც ირკვევა, საჯარო პირებს კანონით აქვთ აკრძალული, რადგან მათ აქვთ თმენის ვალდებულება.

კი, ბატონო, საჯარო მოხელეებს თმენის ვალდებულება აქვთ, მაგრამ ჩვენ, საზოგადოებას, რიგით მოქალაქეებს ვინ დაგვაკისრა ვალდებულება, ამ მაიმუნების მაიმუნობა ამდენი ხანი ვითმინოთ?

**მაიმუნს თუ მაიმუნი არ უწოდე, ბანდიტს — ბანდიტი, ფარისეველს — ფარისეველი და ყველას სათანადო პასუხი არ მოსთხოვე და ის არ მიუზღე, რაც ეკუთვნის, ქვეყანა შეიძლება საგიჟეთს დაემსგავსოს, სადაც მაიმუნების, ვირიშვილების, მკვლელების, ყაჩაღების, ბანდიტების, ფარისევლების ჭკუაზე უნდა ვიაროთ და მათ ნებას უნდა დავემორჩილოთ.**

გეთანხმებით, ადამიანს, თუ ის მართლა ადამიანია, მაიმუნი და ვირიშვილი არ უნდა უწოდო, მაგრამ თუ ის მართლა მაიმუნი და ვირიშვილია, მაშინ რა ვქნათ?

„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“ — ეს სიტყვები დავით გურამიშვილმა მაშინ თქვა, როცა დიდ პოეტს ნამდვილად არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ „პარტიზანული მებაღეობა“ და სხვა პარტიზანი „ნაციონალები“ თბილისის მერს შეეჭრებოდნენ კაბინეტში და ისე გამოიყვანდნენ წონასწორობიდან, რომ ეს მშვიდი და ზრდილი კაცი იმ ფრაზას იტყოდა, რომელსაც „მომხვდურები“ იმსახურებდნენ.



ცუდია, 27 ხე რომ მოიჭრა, ცუდზე გაცილებით ცუდია, თუ ეს ხეები უკანონოდ მოიჭრა, ამაზე გამოძიება მიდის და ყველაფერი დადგინდება, მაგრამ მაშინ სად იყავით, როცა „ნაცმოძრაობამ“ 27 კი არა 5 მილიონამდე ხე მოჭრა, გაჩეხა და გაანადგურა ტყის მასივები, კერძო პირებს მიჰყიდა ბაღები, აი, მაშინ სად იყავით, რას აკეთებდით 2012 წლამდეო? — ჰკითხეს ქალბატონ ფერაძეს.



— რას ვაკეთებდი და ვტყ... რობდიო, — უპასუხა ბუნების თავდადებულმა ქომაგმა.

— კი, მაგრამ ბუნება თუ ასე გულმხურვალედ და გულწრფელად გიყვართ, მაშინ, როცა „ნაცებმა“ 5 მილიონი ხე მოჭრეს, ტყის მასივები გაანადგურეს, ბაღები და სკვერები გაყიდეს, თქვენ რა გეტყნ....ბოდათ, ქალბატონო ნატა? — კითხულობენ სოციალურ ქსელებში გაკვირვებული მოქალაქეები და იქვე გონივრულ ეჭვს გამოთქვამენ, რომ ქალბატონი ნატალია ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ დაქირავებული ჩვეულებრივი პროვოკატორია, რომელსაც ხეების ბედი სულ ერთ ადგილას ჰკიდია.

— ამ უსექსობით დატანჯულ ქვეყანაში რავა ყველაფერი უკვირთ? რა თქვა ქ-ნმა ნატამ ისეთი, ჩასაქოლად რომ გამოენთნენო, — მყის გამოექომაგნენ ფერაძის ქალს ჟორჟოლიანები, გვარამიები, პატარაიები და სხვა „პროგრესულად მოაზროვნეები“.

ჯერჯერობით პრეზიდენტი მარგველაშვილი იკავებს თავს, მაგრამ, იმედია, არც ის დატოვებს თანაგრძნობის და თანადგომის გარეშე უბირი თანამოქალაქეების მიერ გაკიცხულ და შერისხულ ფერაძეს და ანუგეშებს: — 2012 წლამდე მეც ძალიან მდიდრული ტყ...რი მქონდა, კოლეგა, სულ პრეზიდენტი კი არ ვიყავიო...

რა გჭირთ, კაცო? თქვენ, საკმარისია „ყ“-ს და „ტყ“-ს მოჰკრათ ყური და ეგრევე კოლექტიურად რომ გადმოცვივდებით ტელეეკრანებიდან...

ხეც ყ.. ხომ არ გგონიათ და ტყე კიდევ ტყ....ი? მაინცდამაინც თქვენ რომ გადაეფარებით ხოლმე ამბრაზურასავით?

წინადადება შემოგვაქვს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დროებით გამოვაცხადოთ მორატორიუმი ასობგერა „ყ“-ს გამოყენებაზე, თორემ, ხომ ხედავთ, როგორ გადაირევიან და როგორ აკანკალდებიან ხოლმე „ყ“-ს გაგონებისას ეს სექსუალურად გაუწონასწორებელი მანიაკები.

ხე და ტყე კი არ გაინტერესებთ თქვენ, ქვეყნის არევ-დარევა გინდათ და საბაბს ეძებთ, თქვე მართლა მაიმუნო ვირიშვილებო, მაგრამ არაფერი გამოგივათ, კარგად დაიმახსოვრეთ ეს!

**„საერთო გაზეთი“**









„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# ლალი მოროშკინა:
# სანდრა რულოვსი როგორ ბედავს და როგორ ჩადის იმ ქალაქში, სადაც ბიჭებს წამებით სული ამოხადეს

## პირველი ლედი იყო არა სანდრა, არამედ მიხეილ სააკაშვილი, ქვეყანას კი სანდრა რულოვსი მართავდა

„შეაჩერეთ სანდრა რულოვსის აგენტურული მუშაობა საქართველოში!

ის გაშიფრული ჯაშუშია, რას ელოდებით? სანდრა ყოველთვის უფრო საშიში იყო ვიდრე მიშა, რომელიც პირნათლად ასრულებდა სანდრას დაკვეთას, ხოლო როგორც კომპენსაცია იღებდა ყველანაირი აღვირახსნილობის, მათ შორის ნარკოტიკის მოხმარების უფლებას, რომელზეც თავის მხრივ, არც სანდრა ამბობდა უარს. თბილისელებს კარგად ახსოვთ შუა სპექტაკლის დროს, არაფხიზელ მდგომარეობაში სკამიდან გადმოვარდნილი პირველი ლედი. მაშინ თითოეული ჩვენთაგანი, ვინც ამ სპექტაკლს ვესწრებოდით, სასტიკად გაგვაფრთხილეს, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო, თორემ... (შეგნებულად არ ვწერ თეატრს, თავად თქვას რეჟისორმა) შეაჩერეთ პირსისხლიანი სანდრა, სანამ დეპუტატის მანდატი აუღია და ცოდვის კალო დაუტრიალებია საქართველოში!“-ასე გამოეხმაურა ლალი მოროშკინა სანდრა რულოვსის გადაწყვეტილებას ზუგდიდში კენჭისყრის შესახებ.

არანაკლებ სკანდალური და



საინტერესო აღმოჩნდა ლალი მოროშკინას სტუმრობა ინგა გრიგოლიას გადაცემაში, სადაც განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი პირველი ლედის მონაწილეობის შესახებ ისაუბრა. მოროშკინამ საზოგადოებას პასუხგაუცემელი კითხვები შეახსენა, რომელიც სააკაშვილი მეუღლისა და მისი საქმიანობის გარშემო წლების მანძილზე არსებობს. მოროშკინას თქმით, საზოგადოებამ ვერ მიიღო პასუხი კითხვებზე: რატომ აჭრიდნენ ორგანოებს ციხეში გარდაცვლილ პატიმრებს, რატომ იღებდა ჭირისუფალი ქვიშით ამოტენილ გვამს და რატომ აცლიდნენ საპატიმროებში საშვილოსნოებს სრულიად ჯანმრთელ ქალებს. მოროშკინა საზოგადოებას თავის წიგნს „გისოსებს მიღმა“ ახსენებს, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მძიმე ცხოვრებას ასახავს.

ის, რაც დღეს ხდება, სრულიად საქართველოს შეურაცხყოფაა, იმიტომ, რომ რამდენიმე აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავე აპირებს მიიღოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა. მინდა კორექტული ვიყო და დავიცვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ ისიც მინდა, რომ შეკითხვებს პასუხი გაეცეს. ჩვენ ვნახეთ გოგა ხაინდრავას ფილმი, სადაც ბოლომდე არ არის ნაჩვენები ის საშინელებები, რაც ციხეებში ხდებოდა. ფილმის გამოსვლამდე გამოსული იყო ჩემი წიგნი- „გისოსებს მიღმა“, რომელშიც რეალური ისტორიებია ასახული. ეს ისტორიები ასახულია ფილმშიც, ამიტომ რაღაც ფორმით, ფილმის გადაღებაში მეც ვიყავი ჩართული. გამოდის ეს ფილმი და **ნაციონალური მოძრაობა ბედავს ზუგდიდში მაჟორიტარ დეპუტატად წარადგინოს სანდრა რულოვსი, რომლის მიმართ არსებობს უპრეცედენტოდ ბევრი შეკითხვა.** ამას ვამბობ, როგორც ორი წლის წინ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე ოფიციალური პირი, იმიტომ, რომ ზუსტად ჩემ თვალწინ გაიარა გაფატრულმა გვამებმა და ჭირისუფლებმა, რომლებიც თავისი ოჯახის წევრებს შინაგანი ორგანოების გარეშე იღებდნენ. **ქვეყანაში, სადაც პირველი ლედი მიხეილ სააკაშვილი იყო, პროცესებს რეალურად სანდრა რულოვსი მართავდა და მიხეილი პირველი ლედი იყო. როგორც აღმოჩნდა, დღეს ჩვენ სანდრა რულოვსს საქართველოში ველოდებით, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მანამდე ის გისოსებს მიღმა მოხვდება.**

ლალი მოროშკინას თქმით, უამრავმა ქალმა საპყრობილე რეპროდუქციული ორგანოების გარეშე დატოვა და ამას დასტურად ყოფილ უკანონო პატიმარს, ვიცე-პოლკოვნიკ ქეთევან ზარნაძეს ასახელებს, რომელიც პერიოდულად, „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე იხსენებს ციხის კედლებში გატარებულ ჯოჯოხეთურ დღეებს.

შემიძლია სტუდიაში დავპატიჟო რამდენიმე ასეული ქალბატონი, რომლებსაც უმიზეზოდ ამოაჭრეს საშვილოსნოები და საკვერცხეები. კარგი იქნება, თუ ეთერს დავუთმობთ ვიცე-პოლკოვნიკ ქეთევან ზარნაძეს, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ციხეში აწამა და უმძიმეს მდგომარეობაში ჰყავდა. ამ ქალბატონის პრინციპულობის იმდენად ეშინოდათ, რომ როდესაც „ქართული ოცნების“ სახელით ციხეში შევედით, ცალკე ჰყავდათ მოთავსებული. პირადად მაქვს გადაგზავნილი ასობით საქმე პროკურატურაში, სადაც პატიმრები ეწ. ციხის საავადმყოფოზე ჩვენებებს იძლეოდნენ. ამბობდნენ, რომ ხედავდნენ, როგორ გაჰქონდათ ცინკის ყუთებით ორგანოები და ეს ფაქტი პატიმრის გარდაცვალების დროს ემთხვეოდა. ყველასთვის ცნობილია, რომ პატიმრები შინაგანი ორგანოების გარეშე გადიოდნენ ციხიდან. ისიც დადასტურებული ფაქტია, რომ გარდაცვლილ პატიმრებს სხეული სილით გამოტენილი ჰქონდათ.

ადამიანის ორგანოების უკანონო ტრანსპლანტაციასთან ყო-



ფილი პირველი ლედის კავშირებზე სერიოზული ეჭვები უკვე უკრაინაშიც გაჩნდა. ცნობისთვის, ახლახან, ერთ-ერთ უკრაინულ ვებ-გვერდზე გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის ომში მონაწილე სამხედროს ინტერვიუ, რომელიც ომში დაჭრილი და გარდაცვლილი მეომრების ორგანოების უკანონო ტრანსპლანტაციაზე საუბრობს. ოფიცრის თქმით, შეუძლია საგამოძიებო ორგანოებს აჩვენოს საიდუმლო სამარხები, სადაც „უგზო-უკვლოდ დაკარგული“ ჯარისკაცების ორგანოებამოცლილი ცხედრებია დამარხული.

ლალი მოროშკინა დარწმუნებულია, რომ ქალი, რომლის მიმართ ასეთი შემზარავი ბრალდებები არსებობს, ვერ უნდა ბედავდეს არჩევნებში მონაწილეობას და სამეგრელოს მოსახლეობას სიდინჯისა და გონიერებისკენ მოუწოდებს.

## მარგალეფიშ ნოსა ვორექ დო მავორდა ჯოლორისკუა, იფრელ ვაფთქუადა...

მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომის მიმდინარეობისას აღმოაჩინეს ორგანოებამოჭრილი ჯარისკაცების გვამები, იქაც ბევრი კითხვები გაჩნდა. ეს ჩემი ვარაუდი არ არის, ამაზე საუბრობს ოფიციალური უკრაინული საიტი. მალე უკრაინიდან ჩამოვა გადამღები ჯგუფი, რომელიც გადაიღებს ფილმს და ამ ფილმში მეც მივიღებ მონაწილეობას. არსებობენ ჭირისუფლები და მე მათ სახელებს და გვარებს ვასახელებ, რომლებსაც სახლში გაფატრული გვამები მიუტანეს. შეგიძლიათ სტუდია გაავსოთ ადამიანებით, რომლებიც რამდენი წელია ჩივიან. ამის გარდა, მინდა ყურადღება გავამახვილო ზუგდიდის თემაზე. ჩემი დაკეტილია ზუგდიდის ციხე, რომელშიც სააკაშვილის დავალებით პატიმრებს აწამებდნენ. ზუსტად ზუგდიდის ციხის საკნის კადრები გავავრცელე ინტერნეტში, რასაც ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მარტო იმიტომ, რომ ქართველები საოცრად კეთილშობილები აღმოჩნდნენ და სანდრა რულოვსს თავში არ ესვრიან, **ეს ადამიანი ბედავს და ჩადის ქალაქში, სადაც ბიჭებს წამებით სული ამოხადეს. მთელი ამ უბედურების ქვაკუთხედი იყო სანდრა რულოვსი და მეც და თითოეული ზუგდიდელიც სიამოვნებით ვეტყვით პირში ამას.**

ცენტრალურ საარჩევნო უბანში წარმოდგენილია ფულის გადარიცხვებში მხილებული ადამიანი და მის საარჩევნო კამპანიას კრიმინალები ატარებენ. ამაზე გუშინ სადაც საჭირო იყო, იქ ვილაპარაკე და ზომებს თუ არ მიიღებენ, პირდაპირი ეთერით ვიტყვი. **მარგალეფიშ ნოსა ვორექ დო მავორდა ჯოლორისკუა იფრელ ვაფთქუადა...** მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში სოფელ რუხში, როგორც კონფლიქტურ ზონასთან მიმდებარე სოფელში ხშირად მიწევდა გადასვლა გადავდიოდი. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს გალელებთან, **სანდრაზე მეტი მეგრულიც ვიცი და ზუგდიდისთვის მეტიც მაქვს გაკეთებული, მაგრამ არც რულოვსის და არც მაროშკინას ადგილი ზუგდიდში არაა. ეს არის ჭყონდიდელების და დადიანების სამფლობელო და ალაგი სადაც უნდა იყვნენ ნამდვილი მეგრელი და მხარის მოყვარული ადამიანები.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# პოლიტიკა რაღაცით ჰგავს მუსიკას – იქაც და აქაც, მთავარია, რიტმში ჩაჯდე და ამ რიტმიდან არ ამოვარდე...

**ზაზა ხუციშვილი:** დაბადების თარიღი: 1965 წლის 12 მაისი.
**დაბადების ადგილი:** თბილისი
**განათლება:** თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პროფესია- ინჟინერი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.
**სამუშაო გამოცდილება:** გადაცემა „პიკის საათის წამყვანი“, ტელეკომპანია „მაესტროს“ მუსიკალური პროექტის „მაგთიფანის“ სკოლის დირექტორი, პოლიტიკური თოქ-შოუ „პოლიტ როკ-ენ-როლისა“ და გადაცემა „პირდაპირი საუბარის“ წამყვანი. რადიო „უცნობში“ გადაცემა „მონკავშირის“ წამყვანი, სტუდია „მაესტროს“ საახალწლო პროექტების სამხატვრო ხელმძღვანელი და ქართული ტექსტების ავტორი, ჯგუფი „ვაკის პარკის“ ხელმძღვანელი. ჰყავს მეუღლე -ხათუნა დოლიძეზე და 11 წლის შვილი ნინო-ლიზა ხუციშვილი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



როდის დაინტერესდა პოლიტიკით? როგორ აღმოჩნდა „ქართულ ოცნებაში“, რას ფიქრობს ბოლო დროს მერიის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რას პირდება ვაკის მესამე ოლქის ამომრჩეველს და რა სამომავლო გეგმები აქვს? ამაზე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი **ზაზა ხუციშვილი** გვესაუბრა:

– დავიბადე თბილისში. ვსწავლობდი 55-ე საშუალო სკოლაში. 1988 წელს დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტი. განათლებით ინჟინერ ჰიდროტექნიკოსი გახლავართ და დაახლოებით ოთხი წელი მშენებლობებზე, პროფესიით ვიმუშავე. მაქვს კაჭრეთის რკინა-ბეტონის ქარხანაში მუშაობის გამოცდილებაც, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩემი გამოცდილება აღარავის დაჭირდა. ამ პერიოდში მცირე ბიზნესით ვიყავი დაკავებული. ვინაიდან მუსიკის მიმართ სერიოზული ნოსტალგია მქონდა, 1976 წელს ჯგუფი „ვაკის პარკი“ შევქმენი. 1996 წლის ივნისში საუკეთესო როკ-ჯგუფად დაგვასახელეს. 1997 წელს გამოვუშვით პირველი სტუდიური ალბომი. გვქონდა სოციალური თემატიკის და სასიყვარულო სიმღერების ტექსტები, მაგრამ ძირითადად, საპროტესტო ტექსტებით გამოვირჩეოდით. შემდეგ ისე მოხდა, რომ ნადირობამ გამიტაცა და ვნახე, რამდენი პრობლემა იყო ამ დარგში. რადიო „უცნობის“ ეთერში, ორი წელი მიმყავდა გადაცემა „მონკავშირი“, სადაც ბრაკონიერობას ვუპირისპირდებოდით. ვიღაცას ჰგონია, რომ მონადირე ყველაფრის განადგურებისკენ არის მიმართული, არადა, ყველაფერი პირიქითაა. ბუნებას კარგი მონადირის სახით საუკეთესო დამცველი ჰყავს. როცა სახელმწიფო სანადირო მეურნეობებში კერძო მეპატრონის სახით, კარგი მონადირე შედის, ნადირ-ფრინველიც მრავლდება და წესრიგიც მყარდება. „მონკავშირის“ შემდეგ იყო პოლიტიკური გადაცემა რადიოში და სტუდია „მაესტროში“.

– **პოლიტიკით როდის დაინტერესდით?**

– 2009 წლიდან, რაც საპროტესტო აქციებში და პოლიტიკურ გადაცემებში დავიწყე მონაწილეობა. 2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, პოლიტიკურ პროცესებს გავერიდე და „მუსიკალურ რიტმში ჩავჯექი“. ცოტა ხანი მიმყავდა ჩემი გადაცემა, შემდეგ „მაესტროზე“ მუსიკალურ პროექტს ვხელმძღვანელობდი. პროექტის დახურვის შემდეგ, დაახლოებით ერთი წელი, უმუშევარი ვიყავი. ამის შემდეგ, ერთი წელი „პიკის საათის“ წამყვანად ვიმუშავე.

– **„ქართულ ოცნებასთან“ როგორ აღმოჩნდით?**

– ჩემი გადაწყვეტილება გუნდში ახალი ძალების და ახალი სახეების გამოჩენამ და რაც მთავარია, პრემიერ მინისტრმა განაპირობა. მიმაჩნია, რომ გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც ამერიკაში ძალიან კარგი განათლება აქვს მიღებული, ძლიერია როგორც ეკონომიკაში, ასევე ფინანსებში. მომწონს, რომ ყველას პრემიერ მინისტრია და შეუძლია ყველა მხარესთან კონსტრიქციული დიალოგი აწარმოოს. გიორგი კვირიკაშვილთან საუბრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სახელმწიფოს ევროპულ კურსს არაფერი ემუქრება და გადაწყვეტილება მივიღე. სხვათა შორის, პრემიერს ვკითხე, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამდენი ხნის შემდეგ, ჯგუფს მივატოვებ და პოლიტიკაში წავალ თქო და მითხრა, რომ ძალიან მოეწონება, თუ პარლამენტარი საღამოობით HARD ROCK CAFE-ში დაუკრავს, ამიტომ „ვაკის პარკს“ არაფერი ემუქრება. სხვათა შორის, ბილ კლინტონი როგორც კი თავისუფალ დროს იპოვიდა, კლუბებში საქსაფონზე უკრავდა.

**„გიორგი კვირიკაშვილს ვკითხე, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამდენი ხნის შემდეგ, ჯგუფს მივატოვებ და პოლიტიკაში წავალ თქო და მითხრა, რომ ძალიან მოეწონება, თუ პარლამენტარი საღამოობით HARD ROCK CAFE-ში დაუკრავს.“**

– **თქვენც პრეზიდენტობას ხომ არ აპირებთ?**

– მიუხედავად ნაპოლეონის ცნობილი გამოთქმისა, რომ ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობს, პრეზიდენტობაზე არასოდეს მიფიქრია. საკანონმდებლო ორგანო საკმაოდ მაღალი ტრიბუნაა იმისთვის, რომ ქვეყანას ემსახურო და აქ მოხვედრა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნება.

– **როგორ შეაფასებთ გარემოს, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გვაქვს? როგორი იყო „ქართული ოცნების“ ხელისფლებაში ყოფნის ოთწლიანი პერიოდი?**

– ძალიან რთული პერიოდი იყო, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა საბოტაჟის რეჟიმში მყოფი აქტივისტების გარდა, მერიიდან და სხვა უწყებებიდან რიგითი თანამშრომლები არ გაეშვა. ზოგადად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნას ძალიან რთული პერიოდები დაემთხვა: რუსეთ-უკრაინის ომი, სირიის კრიზისი, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სიტუაციის დაძაბვა, მსოფლიო საფინანსო კრიზისი, რომელშიც საქართველოც ჩათრეული აღმოჩნდა. ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის ტემპი ვერ შევინარჩუნეთ, თუმცა, **სერიოზული ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შემდეგი ოთხი წელი აუცილებლად აღმავლობის წლები იქნება.** თბილისში წელს შემოსული ინვესტიციები შარშანდელთან შედარებით სამჯერ მეტია, ამ ორ წელიწადში გახსნილია დაახლოებით 27 000 ახალი ბიზნეს-სუბიექტი, რაც ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს. მოგეხსენებათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პრიორიტეტად ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა დაისახა. ჩვენ უნიკალური სადაზღვევო სისტემა შევქმენით, რომლითაც მოქალაქეების 70%-ზე მეტს ოპერაციებს ვუფინანსებთ. დარჩენილ 30% დაფინანსებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას ადგილობრივი გამგეობები ახერხებენ. ასეთი სადაზღვევო პოლიტიკის დამსახურებით, ექიმთან წასვლა პრაქტიკულად აღარავის ეშინია, თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ მილიარდებით მზარდი ბიუჯეტი არა გვაქვს. ამიტომ, როცა ერთი მიმართულებით დიდი ფულის ნაკადები მიედინება, მეორე მიმართულებას აკლდება, რაც გარკვეულწილად, ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის.



– **თქვენი აზრით, ქვეყნის განვითარებისთვის საყოველთაო ჯანდაცვისა და მსგავსი პროგრამები უნდა გაჩერდეს?**

– არ უნდა გაჩერდეს, მაგრამ



უნდა გვესმოდეს, რომ როცა ასეთი ჯანდაცვა გვაქვს, შეიძლება რაღაცის გაკეთება ვერ მოვახერხოთ. გემახსოვრებათ, რამხელა ფინანსური რესურსი და ენერგია დაჭირდა 13 ივნისის სტიქიის შედეგებთან ბრძოლას და როგორი ოპერატიული და ეფექტური იყო ამ დროს ჩვენი მთავრობა. წყნეთში ძალიან კარგი გზა დაიგო, სოფელი ახალდაბის მაცხოვრებლებს ზარალი აუნაზღაურდათ, სახლები გაურემონტდათ და უკვე 24 საათიანი წყალმომარაგება აქვთ. თბილისში სტიქიის დროს დაზარალებული ახალი გზა აღდგა და გაცილებით უსაფრთხო გახდა, თუმცა სამწუხაროდ, არსებული ბიუჯეტი ყველაფერს არ ყოფნის. ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ახალი ინვესტორები, მოვიზიდოთ ფული და შემდეგ ნელ ნელა განვითარდეთ.

— **თავის დროზე, ვაკის პარკში ხეების გაჩეხვას და სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებდით. ამიტომ, საინტერესოა თქვენი მოსაზრება ბოლო დროს, მერიის გარშემო განვითარებული მოვლენებისა და იმ ბრალდებების შესახებ, რომელსაც დავით ნარმანიას უყენებენ.**

— ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს რომლებსაც გულწრფელი პროტესტი აქვთ მწვანე ნარგავების გაჩეხვის გამო, მაგრამ სამწუხაროდ, ისეთებიც არიან, რომლებსაც ნარგავებზე მეტად ის აინტერესებთ, რომ იმ ტერიტორიაზე სახლი არ აშენდეს. რა თქმა უნდა, არსებობენ გარკვეული ჯგუფების მიერ მართული ადამიანებიც. **ამასწინათ, თამთა სანიკიძესთან გადაცემაში სტუმრად გახლდათ თბილისის საკრებულოს ენმ წევრი ირაკლი აბესაძე, რომელსაც გადაცემის წამყვანმა აჩვენა საბუთი, რომ ყაზბეგის 22 მდებარე ტერიტორია, რომელზეც ხეები მოიჭრა, აბესაძის ხელმოწერით გაიყიდა. ამ ტერიტორიაზე დამტკიცდა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საინტერესოა, როცა მიწის გასხვისების ნებართვას გასცემდა, როგორ წარმოედგინა ირაკლი აბესაძეს უზარმაზარი კორპუსის აშენება ხეების მოჭრის გარეშე?** არავისთვის საიდუმლო არ გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, დედაქალაქში და მთლიანად ქვეყანაში ტყის მასივები და მწვანე ნარგავები განადგურდა. რაც ამ დროს ხე-ტყე გაჩანაგდა, იმდენი კომუნისტების პერიოდშიც კი არ მოჭრილა და ამან განსაკუთრებით ფართო მასშტაბი სააკაშვილის მეორედ ვადით არჩევის შემდეგ მიიღო.

— **გამოდის, რომ „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების გაფუჭებულ საქმეებზე თხოვენ პასუხს?**

— ასე გამოდის. იცით, რა ბრძანა აბესაძემ? მთავრობა იმიტომ არსებობს, რომ ასეთი რაღაცეები გამოასწოროსო. **ბახტრიონის ქუჩის ბოლოს, იპოდრომთან მდებარე კორტები ნაციონალების გაყიდულია, ჯიქიას ქუჩაზე მდებარე სტადიონი, ნაციონალების გაყიდულია, 40 საბავშვო ბაღი ნაციონალების გაყიდულია და აქედან სამში პარტიული შტაბი იყო გახსნილი. ნაციონალების მიერ გასხვისებული სახელმწიფო ქონების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ირაკლი აბესაძეს ამ ვითარების გამოსწორება, როცა გაყიდული საბავშვო ბაღების ნაწილი დანგრეულია და ნაწილი ორჯერ და სამჯერ არის გადაყიდული.** ნაციონალებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ბოლო მყიდველს, რომელიც პატიოსან შემძენად ითვლება, ვერ შეეღავები და ქონებას თუ ჩამოართმევ, კომპენსაცია სრულად უნდა გადაუხადო. აი, ასეთ ბრძოლაში მოუწია „ქართულ ოცნებას“ შესვლა, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ბრძოლას საკმაოდ კარგად გაართვა თავი. **სტიქიური უბედურებების შემდეგ, შვიდი საბავშვო ბაღი აშენდა, ამ შვიდიდან ოთხი უკვე გახსნილია და სამი უახლოეს დღეებში გაიხსნება. სამი ბაღი, რომლებშიც ნაციონალების შტაბი იყო, გარემონტების შემდეგ, რასაც დიდი ფინანსური სახსრები ჭირდება, ბავშვებს დაუბრუნდება.** სასიხარულოა, რომ ჯანდაცვის არსებული სისტემისა და მშობიარეებზე ზრუნვის პოლიტიკის წყალობით, ბოლო წლებში შობადობამ მნიშვნელოვნად იმატა. წელს ყველაზე მეტი ახალშობილი გვყავდა, რაც ჩვენისთანა დემოგრაფიული მდგომარეობის მქონე ქვეყნისთვის ძალიან სასიხარულოა. იმედია, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.



— **ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ განათლებით ჰიდროტექნიკოსს ხუდონჰესის შეჩერება არაკომპეტენტური ადამიანების შეცდომად მიგაჩნიათ. გლობალური დათბობის, კლიმატის ცვლილებებისა და სტიქიური უბედურებების გახშირების შემდეგაც იგივეს ფიქრობთ?**

— როგორც გითხარით, განათლებით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ვარ. ჰიდროლოგია ცალკე საგნად მაქვს შესწავლილი, ამიტომ სრული საფუძველი მაქვს, ეჭვი შევიტანო მოსაზრებაში, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, წყალსაცავები კლიმატს ცვლის. მაგალითად, თბილისის ზღვა ხელოვნური წყალსაცავია, რომელიც ქალაქის გარეუბნების წყლით მომარაგებისთვის აშენდა. თბილისის ზღვაზე მდინარე იორიდან 11 კილომეტრიანი გვირაბით შემოდის წყალი და გუბდება, თუმცა ზღვის გარშემო ყველაფერი გადამხმარია, რაც ნიშნავს, რომ ხელოვნურმა წყალსაცავმა ადგილობრივი კლიმატი ვერ შეცვალა. იტალიელებს ჩვენზე ნაკლებად არ უყვართ თავიანთი ქვეყანა და ბუნება, მაგრამ უამრავი წყალსაცავი და ჰიდროელექტროსადგური აქვთ. იგივე მდგომარეობაა ფინეთში და სხვა ევროპულ ქვეყნებში. 21-ე საუკუნის გამოწვევებს რომ ვუპასუხოთ და ეკონომიკა განვავითაროთ, ღვინისა და ტურიზმის გარდა, სხვა პროდუქტიც უნდა გვქონდეს. მაღალმთიანი და მდინარეებით უხვი ქვეყანისთვის ელექტროენერგიის წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაბამისი მეცნიერული კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად შევეწინააღმდეგები. სხვათა შორის, ზურაბ ჟვანიამ, რომელიც თავიდან ხუდონჰესის წინააღმდეგი იყო, ბოლო წლებში პოზიცია შეცვალა.როგორ ფიქრობთ, ადამიანს, რომელიც პროექტში ას მილიონს დებს, არ აინტერესებს, მყინვარი და წყლის დონე რამდენ ხანს ექნება? საფრთხეების გარეშე არაფერი კეთდება, მაგრამ ნებისმიერ დასკვნას პროფესიონალები უნდა უმაგრებდნენ ზურგს. უნდა ვისწავლოთ ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელსაც ჩვენგან იყიდიან. თუ ყველაფერზე უარი ვთქვით, დოვლათი რის ხარჯზე უნდა შევქმნათ?

— **პარლამენტში მუშაობას რა მიმართულებით აპირებთ?**

— თუ ამომრჩევლის ნდობა დავიმსახურე, იმ თემებიდან დაწყებული, რაზეც ახლა ვისაუბრეთ, ბევრი მიმართულებით შემიძლია ვიმუშაო: გარემოს დაცვის, კულტურის, ჟურნალისტიკის და ა.შ. ადამიანი, რომელსაც დიპლომში პროფესია პოლიტიკოსი უწერია, ბუნებაში არ არსებობს. ეს არის უნარ-ჩვევები და ალღო, რომელიც ჩემი აზრით, მაქვს.

— **და ბოლოს, რას ეტყვით ვაკის მესამე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველს?**

— პირველ რიგში, იმას, რომ არასოდეს მოვატყუებ. ჩვენი კონკურენტი ამომრჩეველს პირდება, რომ გზებს დაუგებს და პირად პრობლემებს მოუგვარებს. ამით ან შეგნებულად ატყუებს ამომრჩეველს ან არ იცის, რომ თბილისი თვითმმართველი ქალაქია, რომელსაც ჰყავს რაიონული გამგებლები და გზების დაგება მათ მოვალეობებში შედის. პარლამენტარი გზას ვერ დააგებს. ჩვენ მოვივლით ყველა უბანს, შევაჯამებთ მოსახლეობის მოთხოვნებს და ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმარების დროს, მთავრობას რეკომენდაციების სახით მივაწვდით. ამომრჩეველს ვეტყვი, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში, რწმენით, სიმართლით და სიყვარულით ვემსახურები სამშობლოს. ჩემი ამომრჩევნლის პრობლემას ხელისუფლებამდე მივიტან და ვიქნები მედიატორი, მაგრამ ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრის მექანიზმი მე ნამდვილად არ გამაჩნია. გუნდში ყველა შევთანხმდით, რომ ამომრჩეველს ისეთ რამეს არ შევპირდებით, რასაც ვერ შევასრულებთ. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ მხარი დაგვჭირონ და ჩვენთან ერთად ჩაერთონ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

პოლიტიკა რაღაცით ჰგავს მუსიკას – იქაც და აქაც მთავარია რიტმში ჩაჯდე და ამ რიტმიდან არ ამოვარდე... ®

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# „პარტიზანულ მებაღეობას" თბილისური „მაიდნისთვის" პლაცდარმის მომზადება აქვს დავალებული

## „პარტიზანული მებაღეობა" და მისი ხელმძღვანელი ნატა ფერაძე პირდაპირ ოდესიდან იმართებიან



ამასწინათ რედაქციას ერთი პიროვნება დაუკავშირდა, რომელმაც „პარტიზანული მებაღეობის" და მისი ხელმძღვანელის, ნატა ფერაძის საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ სკანდალური ინფორმაციები მოგვაწოდა.

გასაგები მიზეზების გამო მან თავისი ვინაობის საჯაროდ გამხელა არ ისურვა.

— „პარტიზანული მებაღეობის" საქმიანობაში თავიდან ძალიან დიდი ენთუზიაზმით ჩავები. ვთვლიდი, რომ კეთდებოდა ქალაქისთვის უდაოდ საჭირო და სასარგებლო საქმე, რომელშიც აქტიური მონაწილეობა ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩავთვალე.



სასიხარულო იყო ჩემთვის, რომ „პარტიზან მებაღეებში", ახალგაზრდებთან ერთად, საზოგადოებისთვის საკმაოდ კარგად ცნობილი ადამიანებიც ვნახე, რომლებსაც გულწრფელად შესტკიოდათ გული თბილისში და, ზოგადად, მთელ ქვეყანაში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე.

ნატა ფერაძე უშიშარი, პრინციპული, უკომპრომისო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც თავისი ენერგიით და ენთუზიაზმით გვმუხტავდა ყველას.

პირველი გამარჯვება ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის" მშენებლობასთან დაკავშირებით მოვიპოვეთ, რის შემდეგაც „პარტიზან მებაღეებს" აქტივისტთა ახალი ჯგუფი შემოემატა, ძირითადად, ახალგაზრდები.

იმდენად გულწრფელი და მეგობრული ატმოსფერო სუფევდა ჩვენს გარშემო, იმდენად შორს იყო პოლიტიკისგან ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და რისთვისაც ვიბრძოდით, ეჭვადაც კი არ გამივლია გულში, რომ შეიძლებოდა ყოველივე ამის უკან ვიღაცის პოლიტიკური ინტერესები მდგარიყო.

მართალია, ზედმეტად მკაცრად ვაკრიტიკებდით ხელისუფლებას ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა ესეც ლოგიკური იყო. ერთხელ, როცა ხელისუფლების მისამართით ძალიან მძიმე ბრალდებები გაჟღერდა, ქალბატონ ნატაც ვუთხარი: უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა, ხელისუფლებასთან ერთად უგულავას დროს დაშვებულ უამრავ კანონდარღვევაზე და თვითნებობაზეც გვესაუბრა, რადგან ბევრი რამ, რაც დღეს ხდება, „ნაცმოძრაობის" დროიდან იღებს სათავეს-მეთქი.

მივხვდი, რომ ქალბატონ ფერაძეს აშკარად არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი და მკვახედ მომიგო: „ნაცმოძრაობა" არ არის ახლა ხელისუფლებაში, „ქართული ოცნებაა" და იმაზე, რაც დღეს ხდება, პასუხი მას უნდა მოეთხოვოსო.

ამ თემაზე საუბარი არ გაგვიგრძელებია, თუმცა მას შემდეგ ქალბატონი ნატას დამოკიდებულება ჩემს მიმართ ხაზგასმულად ცივი და გულგრილი გახდა, თუმცა არც ამისთვის მიმიქცევია განსაკუთრებული ყურადღება და არც არაფერზე დავეჭვებულვარ.

ერთხელ ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა — გუშინ „პარტიზან მებაღეებში" გნახე, სერიოზული კაცი მგონიხარ და შენ რას აკეთებ, რა გინდა იქ? შენ იცი, ვინ არის ეგ ნატა ფერაძე, ბოჩოლასავით რომ დასდევ კუდში ამხელა კაცი მაგ ტუტრუცანა დედაკაცსო?

— რატომ ლანძღავ ამ წესიერ ადამიანს? ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს და შენ კიდევ ლანძღავ... რა წესია ეს-მეთქი, — სერიოზულად გავბრაზდი და ტელეფონი გავუთიშე.

საღამოს მეგობარი სახლში მესტუმრა და ფერაძის შესახებ ისეთი ამბები მიამბო, გავოცდი.

— „ნაცია" ეგ შენი ფერაძე, „ნაცების" უახლოესი მეგობარი. ეს ქალბატონი, ახლა რომ ვითომ მწვანე ნარგავების გადარჩენაზე იკლავს თავს, იცი, „ნაციონალების" დროს სად მუშაობდა მთელი წელიწადნახევარი? სად და „გრინსერვისში", ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ კომპანიაში, სადაც მილიონები კეთდებოდა. „გრინსერვისის" მფლობელი ლაშა ფურცხვანიძე ბრძანდებოდა, რომელიც იმავე დროს ძველი თბილისის გამგებელი იყო. აი, ამ „გრინსერვისის" ერთ-ერთი მთავარი მენეჯერი იყო ქალბატონი ნატა მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში. შენ როგორ ფიქრობ, „ნაციონალები" შემთხვევით ადამიანს, რომელსაც არ იცნობდნენ და არ ენდობოდნენ, ახლოს გაიკარებდნენ ან იმ კომპანიაში მიიყვანდნენ სამუშაოდ, სადაც ძალიან დიდი ფული კეთდებოდა?

მოგვიანებით ფერაძე ხმაურით და სკანდალით წამოვიდა „გრინსერვისიდან" — რაღაც ვერ გაიყვეს მაგან და ფურცხვანიძემ, მაგრამ სხვა „ნაციონალებთან" ძველი მეგობრობა და კავშირები შეინარჩუნა.

აშკარად პოლიტიკური ქვეტექსტის და პოლიტიკური მიზნებისთვის უაღრესად ეფექტური პროექტი „პარტიზანული მებაღეობა" ფერაძემ და „ნაციონალებმა" ერთობლივად შეიმუშავეს და ერთობლივად დახვეწეს.

ვერაფერს იტყვი, ბრწყინვალე მიგნებაა — ერთი შეხედვით სრულიად აპოლიტიკური, ეკოლოგიურ პრობლემებზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაცია, სინამდვილეში საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ დარტყმებს აყენებს „ქართული ოცნების" ხელისუფლებას.

ნატა ფერაძე მთლიანად „ნაცმოძრაობისგან" იმართება და უშუალოდ მისი დირექტივებით და ინსტრუქციებით მოქმედებს.



ოდესის გუბერნატორი, რომელსაც საკმაოდ მახვილი პოლიტიკური ყნოსვა აქვს, მალევე მიხვდა, რომ ფერაძეს და მის „პარტიზანებს", სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, ძალზე სერიოზული ამოცანის შესრულება შეუძლიათ.

**სწორედ ოდესიდან მოდის მითითება, რომ ნატა ფერაძემ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, როგორმე რამდენიმე კარვის დადგმა მოახერხოს თბილისის მერიასთან.**

**სააკაშვილის გათვლით, ამ რამდენიმე კარავს მცირე ხანში ძალიან ბევრი კარავი მიემატება და მომავალი პოლიტიკური ბატალიებისთვის და, შესაძლოა, თბილისური „მაიდნისთვისაც" კი, სერიოზულ პლაცდარმად და ბაზად იქცეს.**

— დადგით კარვები და ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ეს კარვები 8 ოქტომბრის არჩევნებამდე შეინარჩუნოთ! — ასეთია სააკაშვილის ბრძანება.

აი, სად ხარ შენ, ჩემო ძმაო და მეგობარო და რას უწყობ ხელს, — მითხრა ჩემმა მეგობარმა.

მას შემდეგ ნატა ფერაძეს და მის რაზმს არ გავკარებივარ, თუმცა ის, რაც ჩემმა მეგობარმა მითხრა, ნამდვილად ღირს დაფიქრებად იმ სტრუქტურებისთვის, რომლებსაც ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ფიქრი ევალებათ.

ამიტომაც გადავწყვიტე, გაზეთით გამესაჯაროებინა ის, რის შესახებაც ახლა გიამბეთ.

აი, ასეთი საგანგაშო ამბავი გვამცნო ჩვენმა სტუმარმა, რომლის ნაამბობშიც, ვფიქრობთ, ბევრი რამ უნდა იყოს საგულისხმო და საყურადღებო.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

**P.S სანამ ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნატა ფერაძემ უკვე გაშალა რამდენიმე კარავი თბილისის მერიასთან...**

# „ჰეროკრატია“



„ჰეროკრატია“ – ეს უმძიმესი ფილმი, „ნაციონალების“ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ეკრანული მხილებაა.

როგორც ფილმის რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, ფილმში აღწერილია ის, რაც მისივე თქმით, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის დროს, რეალურად მოხდა.

„ეპიზოდები ნამდვილად მძიმეა და ამაზე არ ვდაობ, მაგრამ ეს ყველაფერი რეალურია. გადაღებულია რეალურ ისტორიებზე. ეს ყველაფერი, ძალიან ბევრ ადამიანს შეეხო. ისტორიები რეალურია და არაფერი დაგვდიგამს“. ყველაფრის ჩატევა ერთ წელიწადში, ერთ ფილმში შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი საკმაოდ მოცულობითია, 24 სერიაა, თითოეული 40 წუთის ხანგრძლივობის. ეს არის 12 სრულმეტრაჟიანი ფილმი. თანაც – მხატვრული ფილმი, თავისი არსითა და სტრუქტურით. ქართველ საზოგადოებას და ქართულ კინოეკრანს ვერ ვაკადრებ ყველაფერ იმის ჩვენებას, რასაც ისინი სჩადიოდნენ, მაგრამ, რასაც წარვუდგენ, საკმარისი იქნება ბოკერიების, ბარამიძეების, ვაშაძეების, ჯაფარიძეების და სხვათა ჭეშმარიტი სახეების წარმოსაჩენად, რომლებიც „გირჩის“ თუ, ღმერთმა უწყის, რის სახელს ამოფარებულები, ცდილობენ გაექცნენ თავიანთ წარსულს.

ვერ გაექცევიან, რადგან იცოდნენ, ხმას აძლევდნენ, ამართლებდნენ იმ საშინელებას, რომელიც ხდებოდა ციხეებში, უწინარესად, – გლდანის საპყრობილეში, სადაც მძვინვარებდა ქილერად წოდებული ვინმე მუხაძე, რომელსაც ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა არაფრად მიაჩნია. ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად აღვადგინეთ გლდანის ჯოჯოხეთი და საზოგადოებას განსასჯელად წარვუდგინეთ.

უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი სააკაშვილის რეჟიმს. მარტო ჩვენ 1200 ინტერვიუ ჩავიწერეთ, განზრახული გვაქვს „თეთრი წიგნის“ გამოცემა ამის საფუძველზე. 18 ათასი საჩივარი არის შეტანილი პროკურატურაში. ამ მასიდან ამოვარჩიეთ ისეთები, რომლებშიც სახელმწიფო მანქანა თრგუნავდა და კლავდა ხშირ შემთხვევაში ერთ, ცალკე აღებულ ადამიანს, და ასეთ დანაშაულში პრეზიდენტით დაწყებული, რიგითი ბადრაგით დამთავრებული, ყველა რანგის საჯარო მოხელე, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მონაწილეობდ – აღნიშნა გოგა ხაინდრავამ და

– დასძინა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ქართველმა საზოგადოებამ, ხალხმა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც ყოველთვის წმინდად იცავდა მართლმადიდებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს და დღეს ქრისტიანობის ერთ-ერთი გადარჩენილი აკვანია მთელ მსოფლიოში, დაუშვა, რომ მის ქვეყანაში ფეხი მოეკიდა გაუნათლებელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წერა-კითხვის უცოდინარი ბოგანოების მიერ ჩამოყალიბებულ უსასტიკეს, ავტორიტარულ რეჟიმს, ეს, მე ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრიობის ბრალია, მისი პრობლემა და საფიქრალია. ამ საფიქრალიდან გამომდინარედ ვიმუშავეთ, გავერთიანდით მთელი ჯგუფი. ამ საფიქრალმა და ტკივილმა მოგვცა იმის მუხტი და შესაძლებლობა, რომ მთელი ჩვენი ენერგია, რწმენა, პროტესტი ჩაგვედო „ჰეროკრატიაში“. საზოგადოება ნახავს ამ ყველაფერს, შეგვაფასებს ჩვენ და, ვიმედოვნებ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავსაც. ფილმის შესახებ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული წერილების ირგვლივ, ცხარე კამათია გაჩაღებული. ერთუჯრედიან ნაცტროლებს „ჩახვეული“აქვთ, რომ ციხის კადრები დადგმული იყო. ჯიუტად არ სურთ აღნიშნულის შესახებ, იმ ადამიანების დასტური მოისმინონ, ვინც იმ ცხრაწლიან ჯოჯოხეთში მაჯლაჯუნების მიერ ფიზიკური თუ სულიერი ტრამვა მიიღო. ციხის კადრების გარდა სამეგრელოს სამალავებიდან ამოღებული გაუგონარი სისასტიკის ამსახველი ფირებიც არ ახსოვთ, რომელიც არარსებობს ნორმალური ადამიანის ტვინში მოიხარშოს. ნაცების და მათი მხარდამჭერების მეხსიერებიდან გამქრალია თეთრაძის, შავაძის, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, კრიალაშვილის და სხვების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები. ის არაადამიანური სასტიკი დამოკიდებულება და აუტანელი წნეხი, რომლის ქვეშაც კარგად მართულმა ნაცსექტამ საზოგადოების დიდი ნაწილი ცხრაწელიწადი ამყოფეს. ფილმში, რეჟისორი დაწყევლილი წლების სრულ სურათს რასაკვირველია ვერ აღწერდა, რადგან სამასიათასი „დასჯილი“ადამიანის ცხოვრების აღწერა ბევრ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ქონებაწართმეული, ოჯახდანგრეული, დამცირებული, ნამუსახდილი და სულში ჩაფურთხებული უამრავი ადამიანი დარჩა კადრს მიღმა და ის ბავშვები თუ მოზარდებიც, რომლის მშობლებს არაადამიანურმა ნაცტერორმა სამუდამოდ დაუსახიჩრა სული. ოჯახის ტერორ გამოვლილი ბავშვების უმეტესობა შურისძიების სულისკვეთებით იზრდებიან და აუცილებლად დადგება დრო როცა გაუგონარი სისასტიკით გადაუხდიან სამაგიეროს ოჯახის დამწიოკებლ და მათი ბავშვური ბედნიერების გამნადგურებელ პირსისხლიან ჯალათებს. დასავლეთში მიღებული ცოდნა ვერ დაიცავს ნაცმონაგარს სისასტიკეში გაზრდილ, ბავშვობა წართმეული ადამიანების რისხვისაგან.



რუსუდან შარაძემ სოციალურ ქსელში, ფილმთან დაკავშირებული სტატუსი გამოაქვეყნა – ...იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ, დახვრეტილი და გაუბედურებული ადამიანების ოჯახის წევრებს, ყველაზე მეტად გვსურს წარსულის დავიწყება. გვინდა ახალი, წყნარი ცხოვრება (მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოვრება აღარასდროს გამთელდება!), სადაცარ არ იქნება ძალადობა, არ იქნება სისხლი! მაგრამ ჯერ პასუხი უნდა აგონ მკვლელებმა და მწამებლებმა.

მე, რუსუდან შარაძე, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვეშვები და როცა იქნება, გავიმარჯვებ! მოვკვდები? – მაინც გამარჯვებული ვარ!

დაჩი ცაგურია: ვნახე ეს პირველი სერია სააკაშვილის რეჟიმზე გადაღებული სერიალის. ეს ყველაფერი ნანახიც მაქვს და განცდილიც, ყველა ამბობს რომ მძიმეა, მე ვთვლი რომ სულ ბოლომდე მაინც ვერ გამოხატავს სააკაშვილის სისხლიან რეპრესიებს. გაცილებით უფრო მძიმე და დაუნდობელი იყო სააკაშვილის რეჟიმი. სისტემა, რომელიც ნაცმოძრაობამ შექმნა იყო ადამიანების გამანადგურებელი. ფილმის ყურებისას ისევ თვალწინ გამიცოცხლდა როდორ მცემდნენ, მაწამებდნენ, როგორ დამიმტვრიეს ხელის მტევანი, როგორ ჩამიტეხეს ხეხრემლის მალები, როგორ გადმომაგდეს მიკროავტობუსიდან ხელები მქონდა უკან შეკრული და მუხლებზე დაავეცი, მულებიც დამიზიანდა და დღემდე მაწუხებს... გამახსენდა ე.წ. ხელკეტების დერეფანი როგორ გაგვატარეს, სადაც ყველა მხრიდან რაღაც ბლაგვი ნივთი, წიხლი, ხელი ფურთხი მხვდებოდა... კიდევ გამახსენდა, სულში როგორ ჩამაფურთხეს დაჭერილი რომ ვიყავი, და დედაჩემი როგორ უცემიათ მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემი იყო...



არ ვიცი, ფილმში ასახულია თუ არა ყოფილი პირველი ლედის პატრონაჟით, ჯანდაცვის პროგრამებით დაზარალებული პატიმრებზე ჩატარებული სასტიკი ექსპერიმენტების კადრები. განსაკუთრებით მძიმე „დოც და დოც+“რომელმაც არაერთი ჯანმრთელი პატიმარი შეიწირა და გადარჩენილები დღესაც გადიან მკურნალობის კურსს დაუძლურებული სხეულის გადასარჩენად.

„შეაჩერეთ სანდრა რულოვსის აგენტურული მუშაობა საქართველოში! ის გაშიფრული ჯაშუშია, რას ელოდებით?“ – ეს სიტყვები ლალი მოროშკინას ეკუთვნის და საზოგადოების დიდი ნაწილი იზიარებს მიმართვის ტექსტს. მეც ვუერთდები ლალის და ჩვენი გაზეთის საშუალებით მომდევნო ნომერში ვიწყებ ყოფილი პირველი ლედის – საქართველოს პირველი ჯალათის, მამხილებელი პუბლიკაციების გამოქვეყნებას.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ

### გიორგი ბეგაძე მე-17 მიკრორაიონის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რუსთავის 30-ე საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ბეგაძე საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მე-17 მიკრორაიონის მოსახლეობას შეხვდა.

გიორგი ბეგაძე ადგილობრივების პრობლემებს გაეცნო და მათ სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა. ძირითად მიმართულებად სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განისაზღვრა.

„ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ის, რომ ჩვენ, რუსთაველები ვცხოვრობდეთ თანამედროვე ქალაქში. ამისთვის, პირველ რიგში, ვნერგავთ ამომრჩეველსა და მაჟორიტარს შორის ურთიერთობის საუკეთესო სტანდარტს. ეს შეხვედრაც ემსახურება იმას, რომ მოვუსმინოთ ამომრჩევლებს, მათ გადაუჭრელ საკითხებს, ინიციატივებს“, – განაცხადა გიორგი ბეგაძემ.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თქმითვე, მისი მთავარი გამოწვევაა, რუსთავში შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უზრუნველყოფს.

მოსახლეობასთან შეხვედრები რუსთავის 30-ე საარჩევნო ოლქში ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

### თემურ ჭკუასელი შეხვედრა

ჩოხატაურისა და ლანჩხუთის „ქართული ოცნების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თემურ ჭკუასელმა შეხვედრები გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ხაჯალიას, ნიგვზიანისა და არჩეულის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე განიხილეს პროექტები, რომლებიც სოფლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისაუბრეს ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარების აუცილებლობაზე, გაზიფიცირების, გარე განათების, ტყით სარგებლობის უფლების მოწესრიგებაზე. აღინიშნა, რომ აუცილებელია სოციალური პროექტების გაღრმავება.

„მე ვიქნები თქვენი ხმა პარლამენტში, გპირდებით რომ ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნები და მაქსიმალურად ვეცდები მოვაგვარო ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ წუთისთვის გაწუხებთ, გაგრძელდება ყველა ის პროექტი რომელიც 4 წლის წინ სოფლის ხელშეწყობის მიზნით ქართულმა ოცნებამ დაიწყო, სოფელი უნდა გახდეს ძლიერი, ამისთვის მე ყველაფერს გავაკეთებ“ – განაცხადა ამომრჩეველთან შეხვედრაზე ჩოხატაურისა და ლანჩხუთის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თემურ ჭკუასელმა

### გურამ მაჭარაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ლაგოდეხსა და ყვარელში გურამ მაჭარაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. კანდიდატი ამჯერად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების: ლელიანის, ჭაბუკიანის და ქ. ლაგოდეხის N3 საარჩევნო უბნის მცხოვრებლებს შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და საკუთარი გეგმები გააცნო.


ლევან გოგიჩაიშვილი

სოფელ ლელიანის მოსახლეობამ გურამ მაჭარაშვილთან შეხვედრისას ყურადღება გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების საკითხებზე გაამახვილა. რაც შეეხება სოფელ ჭაბუკიანის მოსახლეობას, მათ მაჭარაშვილთან საუბრისას აქცენტი საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემაზე გააკეთეს.

მოსახლეობის მიერ სოფლების საჭიროებებთან დაკავშირებით დაყენებული საკითხები, კანდიდატის თქმით, უცხო არ არის. გურამ მაჭარაშვილის განმარტებით, აღნიშნულ სოფლებში არსებული გამოწვევების დაძლევაზე მუშაობა მისი საპარლამენტო საქმიანობის პირველივე დღეებში დაიწყება.

შეხვედრებისას გურამ მაჭარაშვილმა ამომრჩეველს განუმარტა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის იქნება თითოეული მათგანის ხმა საქართველოს პარლამენტში. გარდა ამისა, ქართული ოცნების კანდიდატმა ადგილობრივებს მუდმივი შეხვედრების და კომუნიკაციის პირობა მისცა:

„მნიშვნელოვანია, რომ პრობლემების გადაწყვეტა მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრის და კომუნიკაციის გზით ხდებოდეს. აუცილებელია იცოდე, რას თვლის ამა თუ იმ სოფლის მოქალაქე პრიორიტეტად. მაჟორიტარად არჩევის შემთხვევაში ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვან დროს სწორედ ხალხთან ურთიერთობას მოვახმარ,სწორედ მათ მიერ დაყენებული საკითხები იქნება ჩემი და ჩვენი გუნდის მოქმედების ამოსავალი წერტილი. მჯერა, 8 ოქტომბერს, თქვენთან ერთად შევძლებთ ურთიერთთანამშრომლობის ახალი სტანდარტის დამკვიდრებას, რაც ყველა გამოწვევის დაძლევის წინაპირობა იქნება“, – განაცხადა ამომრჩეველთან შეხვედრისას გურამ მაჭარაშვილმა.


გიორგი ბეგაძე

### ლევან გოგიჩაიშვილი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან გოგიჩაიშვილი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

მორიგი შეხვედრა დოლიძისა და ფანასკერტელის ქუჩის მოსახლეობასთან გაიმართა. ლევან გოგიჩაიშვილი ამომრჩევლის პრობლემებს ადგილზე გაეცნო და მათ „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

„ჩვენი მთავარი ღირებულება ადამიანია. ამიტომაც, „ქართული ოცნების“ პრიორიტეტებში თავიდანვე იყო თანამოქალაქეების ჯანრთელობაზე ზრუნვა და სოციალური საკითხები. დროულმა და ხელმისაწვდომმა სამედიცინო მომსახურებამ ათასობით ადამიანს მისცა განკურნების შესაძლებლობა და მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილიანობის პროცენტული მაჩვენებელი. ამისთვის, „ქართული ოცნების“ მიერ 127,7%-ით გაიზარდა ბიუჯეტი. 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. 10 000 -ზე მეტ ადამიანს დაეხმარა ჩ ჰეპატიტის პროგრამა, რომლითაც მომავალში უკვე ნებისმიერი მოქალაქე უფასოდ შეძლებს სარგებლობას“, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

მაჟორიტარობის კანდიდატმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება ასევე გაამახვილა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

„კატასტროფული მდგომარეობა დაგვხვდა, მაგალითად, წყალმომარაგების კუთხითაც. ნახევარ მილიარდზე მეტი უკვე დაიხარჯა ამ პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო 1.5 მილიარდის პროექტები ამჯერად შესრულების პროცესშია, რაც დამატებით 500 000 ჩვენს თანამემამულეს უზრუნველყოფს წყალმომარაგებით.

ჩვენ გავაგრძელებთ ადამიანის ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვას, ჩვენს პრიორიტეტად ყოველთვის დარჩება ადამიანი და კიდევ უფრო გაუმჯობესდება სოციალური პაკეტი. საბურთალოზე განხორციელებული პროექტები იქნება ნათელი ნიმუში „ქართული ოცნების“ შემდეგი წარმატებული ოთხწლიანი მმართველობის, რასაც თქვენი თანადგომით და ერთსულოვნებით კიდევ ერთხელ მივაღწევთ“, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრისას.


თემურ ხუბულური

## თემურ ხუბულური საზღვრისპირა სოფელ ახალუბნის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თემურ ხუბულური საზღვრისპირა სოფელ ახალუბნის მოსახლეობას შეხვდა.

მაჟორიტარობის კანდიდატმა არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა. შეხვედრის მონაწილეებმა უმუშევრობის პრობლემაზე და მეტი სამუშაო ადგილის შექნმაზეც იმსჯელეს.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის განცხადებით, ადგილობრივ დონეზე, აუცილებელია მცირე საწარმოების შექნმა, რაც, ერთი მხრივ, მოსახლეობის დასაქმებას, მეორეს მხრივ კი მოყვანილი პროდუქციის გადამუშავებს შეუწყობს ხელს.

„მე ვიქნები ჩემი ხალხის კეთილდღეობის გარანტი. პირობას ვაძლევ საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ ჩემს თანამემამულეებს, რომ ჩემი მაჟორიტარ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში, მექნება მუდმივი კომუნიკაცია მათთან და ერთად გავხდებით ყველა იმ კანონპროექტის ინიციატორები, რომლებიც მათი უკეთესი ცხოვრების საწინდარი გახდება“, – განაცხადა თემურ ხუბულურმა.

## ირაკლი მეზურნიშვილი ერთაწმინდისა და გარიყულას მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს’’ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი მეზურნიშვილი ახალქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების, ერთაწმინდისა და გარიყულას მოსახლეობას შეხვდა.

კანდიდატმა სოფლებში არსებული პრობლემები, მათ შორის ინფრასტრუქტურის, გაზიფიკაციის საკითხები განიხილა და მათი მოგვარების კონკრეტულ გზებზე ისაუბრა.

„მიმაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სწორედ სოფლის მოსახლეობას სჭირდება. მე ვიცი, თუ რა პრობლემები გაწუხებთ თქვენ. მე დღეს აქ ვიხილე თქვენი ერთსულოვნება და მჯერა, რომ ამ ერთსულოვნებით მივაღწევთ დიდ გამარჯვებას“, – განაცხადა ირაკლი მეზურნიშვილმა.

## გიორგი კოპაძე მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი კოპაძე.

იგი ამჯერად სოფლებს: მუგარეთს, ფერსას, გიორგი წმინდასა და კლდეს ესტუმრა.

გიორგი კოპაძემ მოსახლეობის პრობლემები მოისმინა და მათ საკუთარი ხედვები გააცნო. იგი შეეხო ახალგაზრდების დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარების, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების მნიშვნელობას.


გიორგი კოპაძე

## მერაბ ქვარაია მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობისკანდიდატი მერაბ ქვარაია მე-7, მე-8 და მე-13 საარჩევნო უბნის მოსახლეობას შეხვდა. მაჟორიტარობის კანდიდატმა ადგილობრივების პრობლემები მოისმინა და მათ საკუთარი ხედვები გააცნო. ასევე ისაუბრა თვითმმართველობის შექმნიდან დღემდე ქალაქში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე.

„ჩვენ დავიწყეთ შეხვედრები ზუგდიდის მოსახლეობასთან და მინდა გითხრათ, რომ ყველა შეხვედრა ძალიან საინტერესო და ნაყოფიერია. ვგრძნობ ჩემი თანაქალაქელების მხარდაჭერას და ვხედავ, რომ „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად იმარჯვებს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. რაც მთავარია, ჩვენი სამომავლო გეგმები და ხედვა მისაღებია იმ ასობით ადამიანისთვის, ვისაც შევხვდით და ვესაუბრეთ. ზუგდიდი ემზადება არა მარტო საპარლამენტო არჩევნებისთვის, არამედ უდიდესი გამარჯვებისთვის“,- განაცხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მერაბ ქვარაიამ ზუგდიდის მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ.

მერაბ ქვარაიას წინასაარჩევნო შეხვედრები ყოველდღიურ რეჟიმში გაგრძელდება.

## გოდერძი ჩანქსელიანი კოდის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თეთრიწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი გოდერძი ჩანქსელიანი დღეს კოდის მოსახლეობას შეხვდა.

მაჟორიტარობის კანდიდატმა ადგილობრივების პრობლემები მოისმინა. შეხვედრაზე ასევე განისაზღვრა სამომავალი გეგმები.

„მე არ გავურბივარ პასუხისმგებლობას. არ მაქვს იმის შიში, რომ თავს ვერ გავართმევ საქმიანობას. მთელი ცხოვრების განმავლობაში ურთიერთობა მქონდა ხალხთან, ამის გამოცდილება ნამდვილად მაქვს. ამდენად, მსურს ჩემი ეს გამოცდილება, ცოდნა გავუზიარო მათ, გავითავისო ამ რაიონის ყველა საჭირბოროტო საკითხი და მოსახლეობასთან ერთად გადავწყვიტო პრობლემები”, – განაცხადა გოდერძი ჩანქსელიანმა.

## სავალან მირზოევი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სავალან მირზოევი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. ამჯერად იგი თბილწყაროს დასახლების მაცხოვრებლებს შეხვდა.

მოსახლეობა მიწის რეგისტრაციით დაინტერესდა. მაჟორიტარობის კანდიდატმა მათ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

„საბედნიეროდ, ხელისუფლების კეთილი ნებით, მიწის რეგისტრაცია გამარტივდა. ამ გამარტივებული წესით უნდა ისარგებლოთ ყველამ და მიწას, რომელსაც ათეული წლებია უვლით, დაირეგისტრიროთ“,-აღნიშნა სავალან მირზოევმა.

ახალგაზრდების ინიციატივით გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატთან შეხვედრა შედგა.


მერაბ ქვარაია

## მუხრან ვახტანგაძე და ნუგზარ სურმანიძე ამომრჩეველთან შეხვედრებს განაგრძობენ

კანდიდატები ბათუმის, დაბა შარაბიძეების ამომრჩეველთა 78-ე უბნის მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მაჟორიტარობის კანდიდატებს მათ რაიონში არსებული

10 გვ.


შეხვედრა ბათუმში

9 გვ.

პრობლემები გააცნეს. მუხრან ვახტანგაძემ და ნუგზარ სურმანიძემ ამომრჩეველს გამარჯვების შემთხვევაში აღნიშნული პრობლემების მოგვარებას დაპირდნენ. შეხვედრაზე კანდიდატებმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა ჩამოვაშოროთ ქუჩას, საშუალება მივცეთ მათ აქტიურად ჩაებან სპორტულ ცხოვრებაში და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით. სპორტი ქმნის ჯანმრთელ გენოფონდს, ჯანმრთელი ერი – ძლიერი სახელმწიფოა“, – აღნიშნა მუხრან ვახტანგაძემ

## იოსებ მაკრახიძე წყაროსუბნის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა

მაჟორიტარობის კანდიდატმა ადგილობრივებს ქალაქის კეთილმოწყობის საკუთარი ხედვები გააცნო და არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

იოსებ მაკრახიძის თქმით, მომავალ წელს ქალაქში პრიორიტეტული იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

მოსახლეობასთან შეხვედრებს ასევე აგრძელებს კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი მეზურნიშვილი. იგი ადგილობრივ მოსახლეობას სოფელ ახალქალაქში შეხვდა.

მან სამომავლო გეგმებზე და რაიონის ტურისტულ პოტენციალზე ისაუბრა.

## გოჩა ენუქიძე ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა ენუქიძე ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

იგი ამჯერად ამბროლაურის სოფლების მოსახლეობას შეხვდა. მაჟორიტარობის კანდიდატმა მიმდინარე პრობლემების შესახებ და პარტია „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. პასუხი გასცა მოსახლეობის მხრიდან დასმულ შეკითხვებს სოციალური პროგრამების განხორციელებისა და 2017 წლის ბიუჯეტში მაღალმთიან რეგიონებზე დახმარების გათვალისწინების შესახებ.

მისი თქმით, მალე ამოქმედდება ყველა ის შეღავათი, რომელიც მაღალმთიან სოფლებს შეუქმნის ცხოვრების უკეთეს პირობებს; მისცემს საშუალებას, რომ ხალხი კვლავ დაბრუნდეს, არ არსებობდეს მიტოვებული და დაუსახლებელი ოჯახები.

## გურამ მაჭარაშვილი ამომრჩევლებთან შეხვედრას განაგრძობს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურამ მაჭარაშვილი ამომრჩევლებთან შეხვედრას განაგრძობს.

კანდიდატი ამჟერად ლაგოდეხის სოფლების – არეშფერანის, გვიმრიანის, აფენის, გიორგეთისა და ქალაქ ლაგოდეხის N30 საარჩევნო უბნის მოსახლეობას შეხვდა.

გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, ლაგოდეხისა და ყვარელის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით დაწყებული საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. მისივე თქმით, შეიცვლება მაჟორიტარი დეპუტატის მუშაობის სტანდარტი. კერძოდ, ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის პროცესი მხოლოდ მოქალაქეებთან კომუნიკაციის შემდეგ დაიწყება.

## გრიგოლ ლილუაშვილის შეხვედრა მოსახლეობასთან

სოფელ მათხოჯში ე.წ. ნიქაბაძეების უბანში შეკრებილმა ადგილობრივებმა გრიგოლ ლი-


გრიგოლ ლილუაშვილი

ლუაშვილს რამდენიმე ინფრასტრუქტურულ საკითხებთან ერთად კითხვები საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზეც დაუსვეს. მოსახლეობა დაინტერესდა, რას ფიქრობდა კანდიდატი საპენსიო ასაკის კლებასთან დაკავშირებით, რაზეც არგუმენტირებული პასუხი მიიღეს.

– „ის ქვეყანა ვერ განვითარდება, სადაც აქცენტი საპენსიო ასაკის დაწევაზე გაკეთდება, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ ქვეყანაში მუშახელის შემცირებაზე, არამედ უნდა შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი და დავასაქმოთ ადამიანები. საპენსიო ასაკის დაწევა მკვეთრად გაართულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ვერ მოგატყუებთ და არ გეტყვით, რომ სახელმწიფო ააშენებს ქარხნებს და დაასაქმებს მოსახლეობას. ხელისუფლებამ ერთი მილიარდი ლარი გამოყო იმისთვის, რომ თითოეულმა თქვენგანმა შექმნას მცირე საწარმო და დაასაქმოს თანასოფლელები. სახელმწიფო პროგრამები, რომელიც მცირე მეწარმეობის განვითარებაზეა ორიენტირებული, შექმნის სამუშაო ადგილებს და გააუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას“, – განაცხადა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვანისა და ხონის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გრიგოლ ლილუაშვილმა.

## რუსლან გაჯიევი მოსახლეობასთან შეხვედრებს აქტიურად განაგრძობს

ამჯერად იგი სოფლების-ალმამედლოსა და ულაშლოს უხუცესებს შეხვდა. შეხვედრაზე რუსლან გაჯიევმა ამომრჩევლებს საკუთარი პოლიტიკური ხედვები გააცნო. ასევე ისაუბრა დაგეგმილ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

როგორც რუსლან გაჯიევმა განაცხადა, იგი საკუთარ ხმას მიაწვდის შესაბამის უწყებებს და პირადად ჩაერთვება საკითხების გადაწყვეტაში.

ამომრჩევლებთან შეხვედრებს განაგრძობს „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოგი მეშველიანი.

იგი სოფელ ქვემო ბოლნისის მოსახლეობას შეხვდა, მათი საჭიროებები მოისმინა და მთავრობის მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. მათ შორის ყურადღება ჯანდაცვის პროგრამაზე გაამახვილა.

„ადამიანებისთვის ავადმყოფობა განაჩენი აღარ არის, უსახსრობის გამო მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, ჯანმრთელობის პრობლემების არსებობისას სახლ-კარის გაყიდვა, სესხის აღება და საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩენა აღარ უწევთ. გაუმჯობესდა სოციალური დაცვის პაკეტი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა კატეგორიის პენსია, სახელმწიფო ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე. ადამიანისა და მისი ღირსების დაცვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი ბიზნესი, გამოხატვის თავისუფლება- ჩვენი ხელისუფლების მთავარი მონაპოვარია. სახელმწიფომ სოფელი მთავარ საზრუნავად აქცია და ხმამაღლა განაცხადა, რომ ძლიერი ქვეყანა ძლიერი სოფლიდან იწყება. სოფლის დასახმარებლად მრავალი პროექტი განხორციელდა, მთავრობამ ამ მიმართულებით 1 მილიარდ ლარზე მეტი დახარჯა“, – განაცხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა.


იოსებ მაკრახიძე


შეხვედრები კახეთში

## კახეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სიღნაღსა და დედოფლისწყაროში ირაკლი შიოლაშვილი ელექტორატთან შეხვედრას განაგრძობს.

ამჯერად იგი ქალაქ დედოფლისწყაროში, ფორე მოსულიშვილის ქუჩისა და ე.წ. ხევსურების დასახლებაში შეხვდა ამომრჩეველს. ირაკლი შიოლაშვილმა ადგილობრივებს მოუსმინა და მათ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გეგმების შესახებ ესაუბრა.

„ამ 4 წლის განმავლობაში უამრავი მასშტაბური პროექტი განვახორციელეთ, როგორც ჯანდაცვის, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში. უამრავმა თქვენგანმა ისარგებლა იმ სიკეთეებით, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ განხორციელდა ქვეყანაში. ჩვენ შევძელით და მოვახდინეთ აქ, ამ ქალაქში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი სისტემის გაწმენდა, ბიბლიოთეკის, საბავშო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, შიდა საუბნო გზების აღდგენა, გარე განათების მოწყობა, წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი და ჩვენ ერთად გავალამაზებთ დედოფლისწყაროს. მე ვიქნები თითოეული თქვენთაგანის ხმა საქართველოს პარლამენტში და ვიდგები თითოეული თქვენთაგანის გვერდით“,– განაცხადა მოსახლეობასთან შეხვედრისას ირაკლი შიოლაშვილმა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რომან მუჩიაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სოფლების – პატარძეულის, შიბლიანის, ბადიაურის, მზისგულის, ყანდაურის, ვერხვიანისა და კაკაბეთის მოსახლეობას შეხვდა.

სახელისუფლებო კანდიდატი ამომრჩევლებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. შეხვედრებისას ყურადღება ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებზე გამახვილდა.

ადგილობრივები ასევე დაინტერესდნენ მიწის რეგისტრაციის საკითხით.

მაჟორიტარობის კანდიდატის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებებით მიწის რეგისტრაცია გამარტივდა. ამასთან, მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტისა და გამარტივებული პროცედურების ამოქმედების შემდეგ, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას მოქალაქეები სხვადასხვა მომსახურებით უფასოდ სარგებლობენ.

„მოსახლეობა შეძლებს საკუთარი უძრავი ქონების უფასოდ დარეგისტრირებას, რაც აქამდე საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული“, – განუცხადა ადგილობრივებს რომან მუჩიაშვილმა.


ირაკლი შიოლაშვილი

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გელა სამხარაულმა ამომრჩეველთან შეხვედრები პანკისის ხეობის სოფლებიდან დაიწყო. ახმეტის მაჟორიტარი ომალოს, ხალაწანის, ბირკიანის, ჯოყოლოსა და დუისის მოსახლეობას შეხვდა. დეპუტატობის კანდიდატმა ადგილობრივებთან სოციალურ, საგანმანათლებლო და სოფლის მეურნეობის სფეროში გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა.

გელა სამხარაულმა განსაკუთრებული ყურადღება ძლიერი ადგილობრივი თვითმართველობების ფუნქციონირების აუცილებლობასა და „მთის კანონის“ მიღების შედეგად გამოწვეულ პოზიტიურ პროცესებზე გაამახვილა.

მისი თქმით, ის სოციალური და საგადასახადო შეღავათები, რაც კანონის ამოქმედებით პანკისის ხეობასა და ზოგადად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მაცხოვრებლებზე გავრცელდა, სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური ხელშემწყობი გახდება.

გელა სამხარაულმა მოსახლეობას სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამებით დაინტერესებისკენ მოუწოდა.

„მე, როგორც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, რომ პროგრამები, რომელსაც უკვე 4 წელია ვახორციელებთ, შესაბამის შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ჩვენს გლეხს, ფერმერს თუ მეწარმეს, ადგილობრივი წარმოების განვითრებისთვის ყველანაირი წინაპირობა უკვე შექმნილი აქვს. მსგავს პროექტებში ჩართულობა თითოეული ოჯახისა და მთლიანად სოფლის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველი შეიძლება გახდეს. ზოგადად, პანკისის ხეობაში, ისევე როგორც ყველა სხვა რეგიონში, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ, რომელიც სოფლების ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებს, ადგილზე არსებულ რესურსს გამოავლენს და განავითარებს“, – განაცხადა გელა სამხარაულმა.

„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ ლაგოდეხის მაჟორიტარობის კანდიდატმა გურამ მაჭარაშვილმა პირველი შეხვედრები გამართა სოფლებში- ჰერეთისკარი, საქობო, მშვიდობიანი, ვარდისუბანი, თამარიანი და ჭიაური.

შეხვედრებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა. კანდიდატმა ამომრჩეველს „ქართული ოცნების“ სამოქმედო გეგმა გააცნო.

მაჭარაშვილის თქმით, განვითარების პროცესი დაწყებულია და მნიშვნელოვანია, რომ ეს ტენდენცია 8 ოქტომბრის შემდეგ კიდევ უფრო სწრაფ ტემპში გაგრძელდეს.

„მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული, სოციალური და სოფლის მეურნეობის მიმართულობით არაერთი პროექტი და პროგრამა ხორციელდება. განვითარების პროცესი შეუჩერებლად მიმდინარეობს. იგება გზები,სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი, ბოლო დროს მუნიციპალიტეტში არსებულ არაერთ საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ჩვენი მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებით. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ლაგოდეხის განვითარება კიდევ უფრო ფართო მასშტაბებითაა შესაძლებელი,რაც თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში აუცილებლად მოხდება“, – განაცხადა ამომრჩეველთან შეხვედრისას გურამ მაჭარაშვილმა. ®


რომან მუჩიაშვილი



# სად იყავი, სად იყავი მაშინ...

სად იყავით? – ეს ის კითხვაა რომელსაც ხშირად უსვამენ ჩვენს პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ხშირად, არჩევნების წინ... განსაკუთრებით მწვავედ, მას შემდეგ, რაც ახალი დაპირებების გაცემას იწყებენ ახალ პოლიტიკურ ძალას ამოფარებულნი, ახალი პოლიტიკური კურსით შეფარულნი... მაგრამ პოლიტიკოსებს არ სურთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამიტომ კითხვას უფრო გამომწვევი ტონითა და მეტი რიხით უბრუნებენ მეორე პოლიტიკოს – თქვენ სად იყავით? – კითხვას უბრუნებენ, რადგან იციან, ეს ყველაზე რთული კითხვაა წინასაარჩევნოდ... რადგან, ისინი ყველანი, ყოფილები არიან... ყოფილი „კომკავშირლები", ყოფილი „მოქკავშირლები", ყოფილი „ნაცები", რომლებმაც უკვე „ოცნების" გადაბალახება და განზე გადგომაც მოასწრეს... ამიტომ კითხვაზე პასუხის გაცემას გაურიან, გაურბიან პასუხისმგებლობას, გაურბიან საკუთარ წარსულს, გაურბიან მოგონებებს, რომლითაც ვერ იამაყებენ...

ჰოდა, ყოფილებმა დაივიწყეს, სად იყვნენ აქამდე და გადაწყვიტეს, რომ მთავარი მხოლოდ ერთია, სად არიან ახლა... ეს ისე გადაწყვიტეს, თავისთვის, ამომრჩევლისგან დამოუკიდებლად.... მაგრამ ქართველ ამომრჩეველს ყელში ამოუვიდა უსიამოვნო სიურპრიზები, კალთიდან კალთაში ხტომა, ჯერ პატიოსანი კანდიდატები და მერე უკვე არჩეული გარყვნილი დეპუტატები, პარტიის ლიდერები, რომლებსაც არჩევნებამდე ერთი სახლი აქვთ და მთავრობაში მოსვლის შემდეგ სახლები და ანგარიშები...

ამიტომ, გამბედაობა მოიკრიფეთ და უთხარით, სად იყავით, აქამდე?

კარგით, რაკი თავად არ გყოფნით გამბედაობა, მე დაგეხმარებით....

რესპუბლიკელებო, თქვენ სად არ ყოფილხართ, ვინ არ გაგიბედნიერებიათ თქვენი სიახლოვით?!

9 აპრილს რომ სისხლით მოსვრილ რუსთაველს ჩაუარეთ და კომუნისტურ პარტიას მიადქით, მე არ მახსოვს, მაგრამ ვიცი... სამაგიეროდ, მახსოვს, როგორ გჯეროდათ შევარდნაძის და მისი მოქკავშირის, შევარდნაძის და მისი ანგარიშების... სატელევიზიო გადაცემაც კი ჰქონდა თქვენი პარტიის ერთ-ერთ სახეს, ბატონ ლევან ბერძენიშვილს, სახელწოდებით „მჯერა"... და ასე მჯერა-გჯერა?-თი დაცუნცულებდით კარგა ხანს... როცა მიხვდით, რომ შევარდნაძესგან მეტს ვეღარაფერს წაიღებდით, მიშას მიუკაკუნეთ და თქვენი ლომის წვლილი შეიტანეთ „ვარდების რევოლუციაში"... სად იქნებით ახლა, მიშას რომ მართლაც მიეცა აჭარა ბერძენიშვილებისთვის, როგორც ითხოვდით? ვისთან იქნებოდით ახლა, მიშას რომ დაეჯერებინა და კვოტები გამოეყო პარლამენტში რესპუბლიკელებისთვის?

მაგრამ, მიშა კარგი მოსწავლე იყო, გამოგიყენათ და სამაგიეროდ არაფრის მოცემა მოინდომა, უფრო სწორედ რაღაცას მოგცემდათ, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც გსურდათ და თქვენც სასწრაფოდ გადაბარგდით ოპოზიციაში...

მერე გამოჩნდა ივანიშვილი, რომელიც თითქოს არ მოგწონდათ, თითქოს არ გინდოდათ... მაგრამ, როგორ გაუშვებდით ხელიდან შანს, რომ ახალი პოლიტიკური ძალაც არ გადაგებალახებინათ? და, აჰა, თქვენი ყველაზე წარმატებული ოთხი წელიც დადგა... აჰა, გეღირსათ, რომ მთელი ოთხი წელი იყავით მთავრობაში... ახლა კი, ახლა არჩევნებია კარს მომდგარი, შემდეგ ოთხ წელს აღარავინ გაჩუქებთ, ამიტომ იმ ხულისუფლებას ჩაუდეგით ოპოზიციაში, რომელი ხელისუფლებაც თავად იყავით მთელი ამ დროის მანძილზე...

საკუთარ რეკორდს გადაუსწარით, „რესპუბლიკელებო"... ქედს გიხრით... მარტივი არ არის, თქვენივე გაკეთებული თუ გაუკეთებელი საქმეების კრიტიკა, რთულია, საკუთარი თავის ოპოზიციაში ყოფნა, მაგრამ, თქვენი გამოცდილების პატრონთ, ყველაფერი გამოგივათ...

„რესპუბლიკელები" გავიგეთ, სად იყვნენ და სად იქნებოდნენ, მიშას რომ მათი ერთგულება დაეფასებინა...

ახლა „გირჩს" გადავხედოთ...

პრინციპში აქაც არაფერია სიახლე: „ახალი მემარჯვენეები". ვაშაძე და ჯაფარიძე,... ესენიც ხომ ყოფილები არიან? ამათაც ხომ იგივე პოლიტიკური გზა გამოიარეს? ამათაც ხომ არ დაუტოვებიათ არც ერთი მმართველი ძალა დაუფასებელ-შეუფასებელი? ვინ იქნებოდნენ ესენი, საბჭოთა კავშირის პერიოდში: ცეკას განყოფილებების უფროსები და რაიკომის მდივნები?

და სად არის სინამდვილეში პრინციპები, რომელზედაც ასე ხმაურიანად საუბრობენ, სად დაეკარგათ სინდისი, რომელსაც სხვებს უწუნებენ?

ცოტა დავიბენი... კომუნისტური პარტია იყო და მისგან თავის დაღწევა სისხლის, შიმშილის, უშუქობის, არეულობის, სიცივის ფასად დაგვიჯდა... შევარდნაძე იყო და კორუფციით და განუკითხაობით ისე გააწამა ქვეყანა, მთელი ერი დადგა ფეხზე, რომ წასულიყო... მიშამ მაღალ ეშელონებში გადაიტანა კორუფცია და განუკითხაობა, შუქი და გზა მოგვცა და თავისუფლება წაგვართვა... საჯარო რეესტრი გაამართვინა ვაშაძეს, რომ ყველა დოკუმენტი ერთად ჰქონოდა, რომ მარტივად გაეგო, ვინ რა შეიძინა, ვინ რა ბიზნესი დაიწყო და მერე აეხია...

და თუ ხალხს ასე სძულდა სამივე მთავრობა, როგორ ხდება, რომ ზუსტად ამ სამივე მთავრობაში ნათრევი „ტიპები" მიკითხავენ მორალს?

და კითხვაც აღარ უნდა დაუსვათ, **სად იყავიო**?

პირველმა ბანმა გამოჰყო ფეხი, მე ხომ სუფთა ვარო? მე ხომ ყველა მთავრობის დროს მხოლოდ ვმღეროდიო? მე რაღას მერჩითო?

კი ბატონო, თქვენი მისამართით, ცოტა სხვაგვარად იქნება კითხვა ფორმულირებული, რადგან სოციალურ ქსელზეც კი ადამიანებს აინტერესებს: როცა თქვენი შვილი მკვლელობისთვის ჩასვეს ავსტრიის ციხეში და როცა იქ გატარებული მცირე დროის მანძილზე – ავსტრიის ციხის დღიურები დაწერა, ვინ დაგეხმარათ ციხიდან მის გამოხსნაში და რითი გადაუხადეთ მადლობა? ან, იქნებ ახლა უხდით მადლობას, ახლა, როცა, ვითომ ეროვნული პარტია შექმენით, მერე კი ნაცების სატელიტ ბლოკში გადაძვერით (როგორც ჩვენ თავიდანვე ვწინასწარმეტყველებდით) და საკუთარი პარტიაც კი მიატოვეთ?



მართალია, ბატონ პაატასთან უადგილოა კითხვა: სად იყავით? უპრიანი იქნება ვკითხოთ: სად ხართ, ბატონო პაატა? ვისთან ხართ და რის საფასურად? იმდენი ხანია ვითხოვთ თქვენი საქველმოქმედო ფონდის ყოველწლიურ ანგარიშებს და არ გვიჩენთ, რომ ხალხის ჩურჩული უკვე ხმამაღალ კომენტარებში გადავიდა: ფულს ათეთრებდა, ალბათ და იმიტომ ვერ აჩენსო... არ ვიცი, იქნებ ათეთრებდით კიდეც, მაგას სამართალდამცავი ორგანოები გაარკვევენ... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თქვენი ფონდი და ფონდის მენეჯერები წარბშეუხრელად ცრუობდნენ და ცრუობენ...

და ბოლოს, სად იყო ჩვენი პრეზიდენტი?

სადღაც ფილოსოფიასა და რეალობას შორის, სადღაც ცოლსა და მეგობარ ქალ შორის, სადღაც ღარიბულ სექსსა და უსექსობას შორის, სადღაც ფუფუნებით ცხოვრების სურვილსა და შესაძლებლობას შორის, სადღაც ნაცებსა და ნაცებს შორის... სადღაც...

რა შეიცვალა მას შემდეგ და ახლა სად არის ჩვენი პრეზიდენტი?

სადღაც ფილოსოფიასა და ზღაპარს შორის, სადღაც ცოლსა და მდიდრულ სექს შორის, სადღაც რეზიდენციასა და რეზიდენციას შორის, სადღაც ოჯახსა და ოჯახის წევრების განსაზღვრას შორის, სადღაც ლგბტ-სა და საპატრიარქოს შორის, სადღაც ნაცებსა და ნაცებს შორის... სადღაც...

მე არც სადღაც მყოფი პრეზიდენტი მინდა და არც თავად მსურს სადღაც ყოფნა... არც მუდმივად ყოფილების ხილვა მსურს, ამოხვედით ყელში ყოფილი კომკავშირლები, მოქკავშირლები და ყოფილი ნაცებიც... ამოხვედით ყელში უპრინციპო და მთავრობა-მთავრობა ნათრევი, სუსტი ნებისყოფის პოლიტიკოსები... ამოხვედით ყელში თქვენი ერთი და იგივე დაპირებებით, თქვენი ერთი და იგივე 0,5 პროცენტიანი რეიტინგით... ახალი სისხლი მინდა პოლიტიკაში, ახალი სისხლი, რომელსაც არ შეეშინდება კითხვის – სად იყავით?!

**თამუნა კეშელავა**
555 46 08 04





# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

**(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი N15)**

სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიამ როდესაც ლექცია წაიკითხა „იდრიატის“ ფესტივალზე (1990 წლის 2 ივლისი) „საქართველოს სულიერი მისია“, ასეთი შეკითხვაც დაუსვეს: „რა კავშირი იყო ირლანდიელ იბერებსა და ქართველი იბერებს შორის?“ ზვიადის პასუხი: — „ირლანდიელი იბერებისა და ქართველი იბერების კავშირი ულრმესია. სწორედ იმაზე არის საუბარი ჰუმბოლდტის შრომაში, რომ ირლანდიაში, ჩრდილოეთ ევროპაში იყო იბერების მიგრაცია. ჰუმბოლდტი აშკარად განასხვავებს მათ სამხრეთ იბერებისგან, სადაც ისინი ავტოქტონები არიან, მაგრამ ჩრდილოეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და სხვაგან, მოხდა მათი მიგრაცია და დაარსდა კოლონიები. ირლანდიის უძველესი მოსახლეობა, პიქტებიც იბერების შთამომავლები იყვნენ.“

რადგან ბრიტანეთთან მიგვიყვანა საუბარმა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთ-ერთი მსოფლიო საიდუმლოებათაგანი — მეფე ართური, რომლის პერსონაჟმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე, იმდენად, რომ გაურკვეველია მითი და რეალობა. ჩნდება კითხვა: მეფე ართური მართლაც მეფე იყო თუ მხოლოდ მხედართმთავარი? თუ მხოლოდ მხედართმთავარი იყო, მაშინ ნაწილობრივ გასაგებია რატომ არ მოიხსენიება ისტორიულ ქრონიკებში. Eყველა შემთხვევაში, საუკუნეების სიშორე შეუძლებელს ხდის გაირჩეს რეალური ისტორიები და ლიტერატურული მითები. მის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით, VI საუკუნეში შექმნილი ვალიური და შოტლანდიური პოემებში ჰყვებიან.

მეფე ართურის საიდუმლოებით მოცული ციკლი გაქრობის პირამდე იყო მისული, მხოლოდ XII-XIII საუკუნეებიდან გაცოცხლდა, მაშინ, როცა, ქრონიკების მიხედვით, რკინის ჯვრის ქვეშ, უძველეს საფლავში აღმოაჩინეს ახოვანი მამაკაცისა და ქალის ძვლების ნაშთები. ჩათვალეს, რომ ეს იყო ართურისა და გვინევრას ძვლები და 1248 წელს მარმარილოს პანთეონში გადაასვენეს, რათა გლასტონბერიში ჩასულ პილიგრიმებს მისი ნახვა შეძლებოდათ. ჰენრი VIII-მ, კათოლიკური ეკლესიის დაუძინებელმა მტერმა 1538 წელს ინგლისის ყველა სააბატოსა და მონასტრის გაუქმება ბრძანა. გლასტონბერი 5 საუკუნე ჭაობით იყო დაფარული, მხოლოდ მოგვიანებით ამოაშრეს. დასახლება დაახლოებით ძვ.წ. 150 წელს ფიქსირდება. არქეოლოგებიც ვერ ადასტურებენ და ვერც უარჰყოფენ ართურზე ლეგენდის არსებობის სისწორეს.

ფრაგმენტულად შემორჩენილ V-VIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში უამრავი მეფე და უფლისწულია მოხსენიებული ართურის სახელით, ამდენად, ამ მხრივაც დაუდგენელია ვინ არის ის პერსონაჟი რომელიც უელსის ეპიკურ პოემებში ფიგურირებს.

ეპოქაში, რომელშიც მეფე ართური მოიაზრება, დღევანდელ ბრიტანეთის კუნძულებზე სხვადასხვა კელტური ტომები სახლობდნენ: ბრიტები, შოტლანდიელები, პიქტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი კოლხები ფოლადის უბადლო მდნობელები იყვნენ და შესაბამისად, უმაღლესად იყო განვითარებული მეტალურგია. ბიბლიურ ტექსტებში, უძველეს მამათა ჩამონათვალში უდიდესი როლი აკისრია კაცობრიობის ერთ-ერთ გმირს, თუბალტ(თ)აენს. ვინ არიან თობალები, იგივე თუბალები? — უძველესი ქართული ტომები, რომლებიც ასევე დაკავშირებული არიან ფოლადის წარმოებასთან.

ლეგენდის მიხედვით, მეფე ართურის სულიერმა მოძღვარმა, მერლინმა ხალიბი მჭედლისგან მიიღო საოცარი თვისებების მქონე ხმალი, რომლის დაუფლებას მხოლოდ რჩეული რაინდი შეძლებდა და მისი მეშვეობით დაამარცხებდა დაუმარცხებელს. მეფე ართურის ხმალს „ესკალიბურად“, ანუ „ხალიბურად“ („ეს ხალიბური ხმალია“) მოიხსენიებდნენ, ხალიბები კი უძველესი ქართველი ტომია, რომელთა დამუშავებული ფოლადი უმაღლესად ითვლებოდა იმდროინდელ მსოფლიოში. მრავალი საუკუნის განმავლობაში მოიხსენიებდნენ უცხო ქვეყნებში ქართველ მჭედლებს მათი ლეგენდარული წინაპრების სახელით, ხალიბებად.



რაც აქამდე ვიცოდით იყო ის, რომ სახელი „მერლინი“ შუა საუკუნეების ინგლისელმა ისტორიკოსმა და მწერალმა კელტური სახელი „მირდინი“ ლათინურ ენას შეუსაბამა და მას მერლინიუსი დაარქვა. მის მიერ დაწერილ წიგნში „ბრიტანეთის მეფეების ისტორია“, გადმოცემულია სწორედ ლეგენდა მეფე ართურზე და მის მსახურზე, მენტორსა და მეგობარზე მერლინზე, რომელსაც მეფის კარზე უმაღლესი კატეგორიის ბარდის თანამდებობა ეკავა და ამავდროულად ჯადოქარიც იყო. როდესაც მერლინმა შეიტყო რომ მეფე ართური ბრძოლის დროს დაიღუპა, შეიშალა, შოტლანდიის ტყეში გაიქცა და ღრმა მოხუცებულობამდე ტყეში ცხოვრობდა.

შუა საუკუნეების კიდევ ერთი ავტორი მოგვითხრობს ლეგენდარულ მეფე ართურზე, თომას მელორი, ავტორი წიგნისა „არტურის სიკვდილი“, სადაც დეტალურად არის მოთხრობილი მეფისა და მისი მეგობრის თავგადასავლები. ავტორი აღნიშნავს, რომ მერლინი კეთილი ჯადოქარი იყო. მასვე მიაწერენ კამელოტის ციხე-სიმაგრის აშენებას და რაინდების „მრგვალი მაგიდის“ დაარსებას.

ერთ-ერთი ინგლისური გადმოცემის მიხედვით, ართური ჰიბერნიიდანაა, რაც — გასაგებია. რაც შეეხება სახელ „ართურს“. Aრტუ კელტურად დათვს ნიშნავს. დათვის კულტი ჰქონდათ პელაზგებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ბალკანეთში, არკადიაში. „არკადი“ ბერძნულად დათვს ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ პელაზგებმა ბრიტანეთში მიგრაციისას თან წაიყოლეს თავიანთი კულტი. უძველესი პელაზგურისა და დღევანდელი მეგრულის მსგავსება ნათელია, ამდენად, ართ-ური „დათვთან“ ერთად მოიცავს: „ართ“ — ერთი, პირველი და „ური“ — ზოგადად, უმაღლესი რაობა (სწავლება).

არბუა დე ჟიუნბელვილის მტკიცებით, ფრანგთა უმეტესობა იბერების და ლიგურების შთამომავლები არიან, ხოლო ნამდვილი გალების (კელტების) კასტა დაახლოებით 80 000 სული იყო, დანარჩენი მოსახლეობა იბერები და ლიგურები იყვნენ — ფაქტობრივად, იგივეს ამტკიცებს რასაც მორტონი და სხვა მეცნიერები.

მითის ერთი-ერთი ვერსიით პოსეიდონის შვილი იყო ალბიონი. „ალბიონი“ — ინგლისის სახელი, რომელსაც შოტლანდიელები დღესაც „ჰალბიონს“ უწოდებენ. ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის აზრით, ჰაემეტური ჰ-ალბიონი იგივე ხანმეტური ხ-ალ(ი)ბიონია და უეჭველ კავშირში უნდა იყოს ხალიბებთან.

ალბიონი იყო ინგლისის უძველესი მფარველი ღვთაება, ამავე დროს ატლასის ძმა, რომელიც იბერიასთან (ირლანდიის ღვთაება) ერთად ეხმარებოდა ჰერაკლეს დასავლეთ კარიბჭის დაცვაში. თვით პოსეიდონი კი ითვლება იბერიული რასის წარმომადგენელ პელაზგების ღვთაებად.

„ბი-ბი-სი-ს“ მიერ გადაღებულ ბრიტანულ ფანტასტიკურ-სათავგადასავლო ჟანრის ფილმში „მერლინი“, რომლის პრემიერა 2008 წლის შემოდგომაზე შედგა, ერთ-ერთ სერიაში ქართული წარწერა გამოჩნდა. ფილმი ლეგენდარული ჯადოქრის, მერლინის ახალგაზრდობაზეა გადაღებული. ქართველი მაყურებელის ნაწილი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართული დამწერლობა მაინცდამაინც ჯადოქრობასთან იყო დაკავშირებული, აღარ იციან საიდან შეუტიონ ჩვენ საოცარ ქვეყანასო. აგრესიის ნაცვლად, არავის მოსვლია აზრად, ეკითხა, რატომ გამოიყენა ბრიტანული სერიალის შემოქმედებითმა ჯგუფმა მაინც და მაინც ქართული ანბანის ასოები?

ალქიმიკოსი, წინასწარმეტყველი, დრუიდი, პოლიტიკური მრჩეველი მერლინი (მირდინ უილტი, მერდინუს) მეფე ართურის ლეგენდის ნაწილია. რაც შეეხება ფილმში ქართული ასოების გამოჩენა-წარმოჩენას — როგორც ჩანს, ფილმის შემქმნელებისთვისაც ცნობილი იყო ის ყველაფერი, რაც უკვე აღვნიშეთ წინა საუბრებისას და სწორედაც რომ უნდა გამოჩენილიყო იმ ერის ანბანის ასოები, რომელიც ართურის ხმალს ეწერა და რა სიტყვებიც ხმლის გამომჭედელმა გადასცა — ეს ხალიბური ხმალია...

იმ პერიოდში, როდესაც მეფე ართურს და მერლინს უნდა ეცხოვრათ სავარაუდოდ, ბრიტანეთში ძალიან მძიმე სიტუაცია იყო. მეფე ვორტიგერნის შოტლანდიელი პიქტები დაუპირისპირდნენ და მათი ამბოხის ჩასახშობად მეფემ გერმანული ტომები, საქსები მიიხმო, რომლებმაც გადაწყვიტეს ბრიტების დახოცვა და კუნძულზე დასახლება. ისეთი პირი უჩანდა მოვლენებს, რომ საქსები განზრახულს მოიყვანდნენ კიდეც სისრულეში, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა გმირი რომელმაც საქსები დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ მადლიერმა ბრიტანელებმა ართური სამეფო ტახტზე აიყვანეს, მაგრამ ბრიტანელმა დიდგვაროვნებმა ის მეფედ არ მიიღეს. რატომ?

**(გაგრძელება იქნება)**



# სვეტლანა ჩხეიძე:
# 2016 წელი პასუხისმგებლობის აღსრულების წელიწადია

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ქალბატონი სვეტლანა ჩხეიძე, ასტროლოგი, რომელიც წინსწრებით ხსნის როგორც მოსალოდნელ მნიშვნელოვან მოვლენებს, ისე კონკრეტული ადამიანების ბედ-იღბალს დაბადების თარიღისა და დროის მიხედვით. ქალბატონი სვეტა არ არის არც ნათელმხილველი და არც მკითხავი, იგი კოსმიური სამყაროს რუკით, მზისა და მთვარის ციკლით, ვარსკვლავების განლაგებითა და ზოდიაქოს ნიშნების მდებარეობით ამბობს იმას, რაც ზეციური კანონებითაა „დაბეჭდილი“.**




ქალბატონი სვეტას მიერ ნაწინასწარმეტყველევი ასტროლოგიური პროგნოზები გასაოცარი სიზუსტითაა აცხადებული როგორც კონკრეტულ ადამიანთა, ასევე გლობალური მნიშვნელობის მოვლენებთან (მიცისძვრები, ტერაქტები და ა. შ.). ასევე, ქვეყნისთვის საკვანძო მნიშვნელობის თანამდებობებზე კონკრეტულ პირთა სანდოობისა და ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, იქნება ეს ქვეყნის პრეზიდენტი თუ ქალაქის მერი; ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თუ პრემიერ-მინისტრი...



**სვეტა ჩხეიძე:** – დიდი ხნის წინ დავინტერესდი ასტროლოგიით, გავიარე საკმაოდ კარგი სკოლა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ვაკეთებ ინდივიდუალურ და ვადგენ ნატალურ რუკას.

„წლევანდელი 2016 წელი, განსაკუთრებულია. ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადი ერთგვარად კარმული გამოცდის ჩაბარების წელია. აქედან გამომდინარე, არაერთგვაროვანი მოვლენების წინაშე გვაყენებს და დაგვაყენებს, რაც ჩვენგან მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას, გონების კონცენტრირებას, გარემოებათა რეალურ შეფასებას და გააზრებულ სწრაფ მოქმედებას. ყველა წელი თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე...

სანამ 2016 წელი არ დასრულდება, წინ გველის მთელი რიგი დაპირისპირებების სერია, როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური და ადამიანური რესურსის მხრივ; გარდაუვალი საკადრო ცვლილებები მაღალ ეშელონებში და ე.წ მესამე ძალის გამოჩენა პოლიტიკაში.

ცვლილებებისა და დაპირისპირების ფონზე მოხდება საზოგადოების აზრთა გაყოფა რაც მღელვარების ფონს შექმნის – არაერთი და ორი პიროვნება გამოაჩენს თავის ნამდვილ სახეს და დაკარგავს ავტორიტეტს ხალხში. ამავდროულად, გამოჩნდებიან ახალი სახეები.

ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადი არასტაბილური და ნამდვილად გამორჩეული იქნება. მთელ რიგ ქვეყნებში მოსალოდნელია მასობრივი გამოსვლები, ტერაქტები... ზოგ ქვეყნებს შორის ისე დაიძაბება სიტუაცია, რომ ომის ზღვრამდე მივა, თუმცა ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ ემუქრება

საქართველოში გაჩნდება მოთხოვნა იმაზე, რაზეც ადრე თვალს ხუჭავდნენ და ითმენდნენ, თუმცა ამავდროულად, დაიწყება საშუალო ბიზნესის განვითარება. დაიწყება მნიშვნელოვანი ძვრები ეკონომიკური თვალსაზრისით რაც მომდევნო წლებში უფრო თვალშისაცემი გახდება. წლევანდელ წელს ნებისმიერი გაუაზრებელი ნაბიჯი წამგებიანი იქნება ყველასთვის და ყველა მიმართულებით. დრო და დრო თავს იჩენს ეკოლოგიური პრობლემები.

წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკოსების სიტყვა – არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცენ ისეთი დაპირება რის შესრულებასაც ვერ შეძლებენ. 2016 წელი პასუხისმგებლობის აღსრულების წელია, ამიტომ დამღუპველი იქნება ტყუილის შემფუთველისთვის. შესაბამისად, არაერთი ადამიანის ფარისევლური ქმედება გამოვა სააშკარაოზე.

28 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე დროის მონაკვეთი ძალზე არასასიკეთო პერიოდია, რომელიც 6 სექტემბერს განსაკუთრებული დაძაბულობით იქნება სავსე.

1 სექტემბერს არის მზის დაბნელება, ხოლო 15 სექტემბერს – მთვარის დაბნელება, სწორედ ეს კოსმიური მოვლენები მოახდენს სერიოზულ გავლენებს ადამიანებზე და მათგან შექმნილ საქმის ვითარებებზე.

**1 სექტემბერს არის მზის დაბნელება, ხოლო 15 სექტემბერს — მთვარის დაბნელება, სწორედ ეს კოსმიური მოვლენები მოახდენს სერიოზულ გავლენებს ადამიანებზე და მათგან შექმნილ საქმის ვითარებებზე.**

გართულდება ინფორმაციის მიღება. პრობლემები შეიქმნება მოლაპარაკებების მაგიდებთან. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული კავშირები და დაწყებული საქმეები დიდ სირთულეებს გადააწყდება. არაერთგვაროვანი და ცვალებადი იქნება არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებისეული მოვლენები, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრებაც. მოვლენები იმდენად მოულოდნელად და გაუთვალისწინებელი მიმართულებით განვითარდება, რომ გამოიწვევს არაერთი ბიზნესმენისა თუ პოლიტიკოსის ცხოვრებაში უსიამოვნებებს. ამ პერიოდში მაღალია ავტოკატასტროფებისა და ხანძრების რისკი. ქვეყნებს შორის კონფლიქტები, არაეფექტური ხანგრძლივი პროექტები შესაძლოა შეწყდეს ან კარდინალურად შეიცვალოს.

ამ დროს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები ან საზოგადოებაში აგორებული ახალი წესები არასწორად იქნება გაგებული, რასაც მოჰყვება დიდი განხილვები და აუცილებლად გახდება გადასახედი. მნიშვნელოვანი საქმეები უმჯობესია ყველამ გადაიტანოს საექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის გაადვილდება მოლაპარაკება საზოგადოებასთან; ასევე, კომპრომისებზე წასვლა და შეთანხმებების მიღწევა. სექტემბრის მე-3 დეკადა აქტიურობის დროა. 27 სექტემბრის შემდეგ ადვილად დაიძვრება და განვითარდება არაერთი დამუხრუჭებული საქმე.

**– საარჩევნო ციებ-ცხელება აქტიურ ფაზაში გადადის, ასტროლოგიური კუთხით რა არის გასათვალისწინებელი?**

– მნიშვნელოვანი იქნება სწორად არჩეული კადრები, რაც პირდაპირ ასახვას ჰპოვებს როგორც ცალკეული ადამიანის ბედსა და საქმიანობაზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე რაც გამოვლინდება 27-30 ოქტომბერს. თუ არ იქნა სწორი ფუნდამენტი ჩადებული, მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები რეგიონებში – აჭარაში, სამეგრელოსა და ნაწილობრივ გორში. სწორედ ამ რეგიონებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეირჩეს ადგილობრივი კადრები.

თუ სწორი ფუნდამენტი ჩაიდო 1 ოქტომბრიდან ბევრი რამ გახდება ნათელი, ხოლო 18 ოქტომბრიდან დაიწყება პოზიტიური პერიოდი.

მოამზადა
**მზია ცისკარიშვილმა**

**ქალბატონ სვეტლანას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე: 599 94 63 28.**



# „აგიაშვილსა, ნიკასო“...



ჩია ტანის არ ეთქმოდა, მაგრამ, როგორც ერთხელ თვითონ გაამხილა ენაკვიმატურად, არც მთლად „მოდღლეზილი“ ვაჟკაცი იყო. ყოველთვის სუფთად სახეგაპარსული, კოხტად თმაგაკრეჭილი, გამოწკეპილი, ღრმად მოხუცებულიც კი წელგამართული დადიოდა. უცებ იგრძნობდით, რა მოწიწებით, რა პატივისცემით ეპყრობოდა ყველა – ტოლ-სწორი თუ ახალგაზრდა. ცხადია, უმეტესედ ისინი, ვინც ნიკა აგიაშვილის ფასი იცოდა, ბევრი რამ სმენოდათ, წაეკითხათ მის შესახებ და ბატონი ნიკას კაიკაცობას, კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას აქებდნენ: – აი, ჭეშმარიტად ვინ უჭირისუფლა თავის მეგობრებს, აი, ვინ გასწია ნამდვილი შერმადინობა... დღეს უკვე ლეგენდები დადის უდიდესი მსოფლიო ომის წინა წლების ლიტერატურული თაობის შემოქმედებით ცხოვრებაზე შესანატრ მეგობრობასა და ერთადერთობაზე. როგორ უყვარდათ ერთმანეთი, როგორ უხაროდათ მეგობრების სიხარული, როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს უწყინარი ხუმრობა-შექილიკებითაც. ყოველივე ამით კი დღემდე განუმეორებელ საკუთარ სამყაროს ქმნიდნენ.

ნიკა აგიაშვილისგან მომავალი თაობები იმითაც იქნებიან დავალებული, რომ იმ ბიჭების არც ერთი სიტყვა, არც ერთი ენამოსწრებული გამონათქვამი არ დაუკარგავს, „ეპიგრამა-ფუნაგორიებად“ აკინძა, რომელთაც მეტ-ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება, ხოლო მისი მხატვრულ-დოკუმენტური პორტრეტებისა და ესეების წიგნი – „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ერთ დროს ხელიდან ხელში რომ გადადიოდა, დიდი სიმართლით მოგვითხრობს ლადო ასათიანისა და მისი თაობის ბედ-იღბლისა და ცინცხალი შემოქმედების შესახებ.

მეუბნება ერთხელ, ოთხმოცი წლისთავზე რომ ვეწვიე:

– ეეეჰ... თუ სადმე სამართალია, მოგონება იმათ უნდა დაეწერათ ჩემზე. 10-15 წლით უმცროსები იყვნენ, მაგრამ რახან ასე მოხდა, მე სხვაგვარად არ შემეძლო. ცნობისმოყვარე ვიყავი, ბევრ რამეს ვიწერდი, მეხსიერება ახლაც არ მღალატობს და ზოგი საინტერესო მომენტი ზუსტად აღვადგინე. რაც მთავარია, მასალები მქონდა ბლომად. ვეცადე, ცოტა უფრო გამომეჩინა ის ჩვენგან ადრე წასული ბიჭები, თორემ ისე, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალიოშა საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის სახელებს ვერ დაივიწყებდა. ვგონებ, მე უფრო გამომაჩინეს ჩემმა მეგობრებმა.

სევდიანი ღიმილით მიამბობს ბატონი ნიკა, თუ როგორ ეხუმრებოდნენ მას „ძმანი მისნი“.

– მე, საერთოდ, ქართული პრესის ჯარისკაცად მიმაჩნია თავი. 1925 წლიდან პრესაში ვმუშაობდი, ხან ქუთაისში, ხან თბილისში... ომის წინა წლებში ერთსა და იმავე დროს ჟურნალების: „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციათა პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი. ახალგაზრდა პოეტმა ალიოშა საჯაიამ „ჩვენი მდივანიკა“ შემარქვა და ასე გამილექსა: „მდივანი გყავდა ნიკოლა, ვაქებდით – არა იყო რა“. გრიგოლ აბაშიძემ „ციგანიკა“ დამარქვა, რევაზ მარგიანმა „კლიაოზნიკა“, თითო წკიპურტი ყველამ წამკრა და ჩემს სახელ – ნიკას ათასნაირად აბრუნებდნენ და ატრიალებდნენ, ოღონდ გაერითმათ და რას აღარ მიწოდებდნენ. ასე მაგალითად, ლიტრაბოტნიკა, ნასლედნიკა, რაზბორნიკა, კლუბნიკა, პანედელნიკა და ასე შემდეგ... გალაკტიონი „ოქრონიკას“ მეძახდა. ერთხელ, ქუთაისში ყოფნისას, კარლო კალაძემ გამომითქვა: „აგიაშვილი ნიკაო, ნე პრიზნაიოტ ნიკავო“... ბოლოს ლადო ასათიანმა ასე ჩამოაყალიბა: „ნიკა. ნიკა, მდივანიკა. სეკრეტარო მესიაჩნიკა, ოქრონიკა ი პანიკა, შე საბრალო ციგანიკა. მუდამ იყავ, ბიჭო ნიკა, ცინიკა და რაზბოინიკა, ახლა გახდი კლაუზნიკა და ცოტათი დვურუშნიკა“. ასე რომ, ხელი არავის დაუკლია და ეს ამბავი დღესაც გრძელდება. მეც ვიფერებ და მიხარია კიდეც. კარგ ხუმრობას რა სჯობს.

– რა თქმა უნდა... აი, მაგალითად: „აგიაშვილსა ნიკასო, არ ნაყვარება პიკასო, გედეირია პიკასო, რა დავუშავე ნიკასო“... გენიალურია!..

– რითმის ბრალია ყველაფერი – „ნიკასო“ – „პიკასო“... პირველი ორი სტრიქონი, სახუმაროდ, ოთარ ჭელიძის შეთხზულია, დანარჩენი ორი, როგორც ამბობენ (აქამდე ვერ შევამოწმე) ნოდარ გურეშიძეს დაუმატებია... სჯობს ეს საქმე თავსატეხად და უფრო ახლოს განსაჩხრეკად ფოლკლორისტებს მივანდოთ...

ნიკა აგიაშვილი 1903 წლის 1 სექტემბერს დაბადებულა ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოში.

– ძველი ოჯახი იყო, 22 სული ვცხოვრობდით ერთად. თუ ყოფილხართ, საოცარი ხედები ჩანს ჩემი სოფლიდან: რიონის ჭალები, კავკასიონი, სამეგრელო და გურია. მიწაც განსაკუთრებულია ამ სოფელში, ალბათ, ამიტომაც დაერქვა დიხაშხო (მეგრულად – „სხვანაირი მიწა“). ოჯახში ყველანი ჩემზე უფროსები იყვნენ. წიგნებს, უმეტესად, მამიდაჩემი მიკითხავდა. ეს იყო „დედაენა“, „ბუნების კარი“, სიბრძნე სიცრუისა“, „სურამის ციხე“, ყრმათათვის მოთხრობილი „ვეფხისტყაოსანი“ (გიორგი იოსელიანისა) და ა.შ. ერთი სიტყვით, ბავშვობიდანვე „წიგნის კაცად“ გავიზარდე.

– ბატონო ნიკა, ცნობილია თქვენი თარგმანები: გორკის „შევარდენის სიმღერა“, ლევ ტოლსტოის „ფეხმარდი“, საბავშვო მოთხრობები და ზღაპრები, კორნეი ჩუკოვსკის „ექიმი აიბოლიტი“, სერვანტესის „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“, ჟან ჟაკ რუსოს „ჟიული, ანუ ახალი ელოიზა“ და სხვა. ამდენად, რა თქმა უნდა, თქვენი აზრი გექნებათ დღევანდელი მხატვრული თარგმანის დონეზე საქართველოში...

– უკვე მაღალი დონეა. ოღონდ, ხშირ შემთხვევაში, მაინც ურიგოა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სხვა ენებზე თარგმანი. აქ, უპირატესად, პოეზია მაქვს მხედველობაში. ზოგ პოეტს რომ უხარია, ოღონდ მტარგმნონ და არას დავეძებო, ასე არ უნდა იყოს. ეს კიდევ არაფერია, მაგრამ რა ვუყოთ კლასიკოსებს? შებღალულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და ჩვენი სხვა სახელოვანი პოეტების პირველწყაროები...

– თქვენ რას გვპირდებით, თქვენ?..

– თუ მშვიდობა იქნა, 1984 წელს „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს ჩემს 25-თაბახიან წიგნს – „პირად-პირადი“. ეს იქნება წერილთა, მოგონებათა და სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებული, რაც დაიბეჭდა ჩვენს პერიოდულ პრესაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ძალზე ფერად-ფერადი შინაარსისა და რაობის შემცველი წიგნი, ამიტომაც მას „პირად-პირადი“ ერქმევა, რადგან, როგორც სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „პირად-პირადი“... ესე არს სხვადასხვაგვარი, თუ სხვადასხვა ფერად-ფერადი“.

* * *

საუბრისას ხსირად იხსენებდა ბავშვობის დღეებს, გაფრენილ სიყმაწვილეს... 1 სექტემბერს დაბადებული, ნატრობდა სკოლის ასაკს, სექტემბრის საზეიმო დღეებს, ნეტავი ვიყო პატარა ბავშვი და მეც სკოლისკენ მივიჩქაროდეო...

...მაგრამ დრო გაფრენილიყო...

ვილენ მარდალეიშვილი

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

### სკანვორდი

1. ეროვნება. 2. ორანჟერეა. 3. ნოსტრადამუსი. 4. მასკანი. 5. ანგორა. 6. ნატალი. 7. ტანკა. 8. ბაკურიანი. 9. რიანა. 10. რემარკი. 11. ტეკილა. 12. მეტანია. 13. კროკი. 14. ესკია. 15. ვილაც. 16. მასივი. 17. შეჰერეზადა. 18. შანკრი. 19. აზარფეშა. 20. მაზეპა. 21. ტვინის. 22. დეგა. 23. მოზამბიკი. 24. მელაი. 25. აკმე. 26. მეი. 27. ბონო. 28. დოლიძე. 29. ელ. 30. რა. 31. მაზდეანი. 32. კილოვატი. 33. შვედი. 34. შარშან.

### კროსვორდი

შვეულად: 1. კორდილიერები. 2. მირაბელი. 3. ამბიცია. 4. პიროგოვი. 5. კილოვატი. 6. სემინარია. 7. მასტიკა. 15. აბიდალი. 16. თინათინი. 17. სოლო. 18. ვისლა. 19. შამპანური. 20. ხოტბა. 23. თაბაშირი. 24. აირტონი. 25. ბია. 27. ოდნკო. 29. ნიუსი. 30. ამტრი. 33. კეა.

თარაზულად: 5. კასამი. 8. პოტიომკინი. 9. ლომისა. 10. დრაფი. 11. ცუგცვანგი. 12. ალპები. 13. აკვატორია. 14. სერია. 19. შახტი. 21. ბერეიტორი. 22. სუმატრა. 23. თიაქარი. 25. ბალაგანი. 26. ბერლიოზი. 28. ანტურაჟი. 31. შაოლინი. 32. ისააკ. 34. იუნკერსი. 35. საირა.

### ლაბირინთი

1. ბრატისლავა. 2. პიტიაზში. 3. პოლიგონი. 4. ხორვატია. 5. სახლიონი. 6. მელომანი. 7. ვესტიბიული. 8. აპენდიქსი. 9. პრეტენზია. 10. ჩიზი. 11. კურატორი. 12. თროვნეი. 13. ატესტატი. 14. კანავერალი. 15. ბროზი. 16. კალკულატორი. 17. თხუნელა. 18. არგო. 19. ფარფლი. კოდი: მალმო

### შიფრვორდი

ა-5. ბ-4. გ-20. დ-3. ე-6. ვ-9. ზ-8. თ-1. ი-2. კ-18. ლ-7. მ-11. ნ-10. ო-13. პ-15. ჟ-16. რ-12. ს-21. ტ-14. უ-17. ფ-19. ქ-22. ღ-24. ყ-26. ჩ-23. შ-27. ც-25. ძ-29. წ-30. ჭ-28. ხ-31. ჯ-32. ჰ-33.

იყიდება სასწრაფოდ!
წერეთლის გამზირზე, ცემის ქუჩაზე, 3-ოთახიანი მაღალჭერიანი სუფთა ბინა 2/2 აივნით.
საწყისი ფასი 50 000 დოლარი.
ტელ.: 2 34 15 32; 593 36 31 57.

# უცნაური დამთხვევები

**ცხოვრება იშვიათად ანებივრებს ადამიანებს მრავალფეროვნებით — სახლი, სამსახური, დასვენების დღეები, შვებულება და, ყველაფერი ისევ თავიდან მეორდება. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ყველაფერი წრეზე ბრუნავს და ბევრი ვერ უძლებს ამ ერთფეროვნებას. მაგრამ ზოგიერთი ადამიანის ცხოვრება, პირიქით, საოცარი მოვლენებითა და უცნაური დამთხვევებითაა აღსავსე. ზოგჯერ კი ამას ტრაგიკული შედეგები მოჰყვება...**



## მარჩელოს ვილა

საოცარი დამთხვევა მოხდა დიდი იტალიელი მსახიობის მარჩელო მასტროიანის ცხოვრებაში. ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს იგი სტუმრად გაემართა, სადაც მასპინძლებთან საუბრობდა. მოულოდნელად, თანამოსაუბრეების გასაკვირად, იგი წამოხტა და დაიწყო სიმღერა „დაიწვა ის სახლი, სადაც ასე ბედნიერი ვიყავი“. თითქმის იმ წამშივე დარეკა ტელეფონმა და ოჯახის წევრებმა აცნობეს მსახიობს, რომ დაიწვა მათი მდიდრული ვილა, რომელიც მენტონში მდებარეობდა. მსახიობისა და იქ მყოფების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მოგვიანებით მასტროიანიმ აღიარა, რომ ეს სიმღერა ბოლოს ბავშვობაში იმღერა და მას შემდეგ არც გახსენებია.

ეს უცნაური და საშინელი შემთხვევა კი 1992 წელს მოხდა. რუანის მერიამ მსახიობ რენე შარბონოს შეუკვეთა დაეხატა სურათი სახალხო გმირის ჟანა დ’არკის საპატივცემულოდ. მხატვარი დიდხანს ეძებდა შესაფერის მოდელს, მაგრამ მისი აზრით, არც ერთი მათგანი არ ჰგავდა ლეგენდარულ ქალწულს, რომელმაც საფრანგეთი გადაარჩინა. ბოლოს, მან იპოვა მოდელი, რომელიც საოცრად ჰგავდა ჟანა დ’არკს. უცნაური დამთხვევით, მოდელს, რომელიც სორბონას სტუდენტი გახლდათ, ჟანა ერქვა. გოგონა



დიდი სიხარულით დათანხმდა საპატიო წინადადებაზე და საათობით პოზირებდა მხატვარს.

სურათი მერიის სხდომათა დარბაზში გამოფინეს და მნახველები გაოცებულები იყვნენ ნახატის გამომსახველობით — ჟანა დ’არკი როგორც ცოცხალი, ისე გამოიყურებოდა. მაგრამ მალე ტრაგედია მოხდა. მენატურე უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მუშაობდა, იქ ქიმიური რეაქტივები აფეთქდა, დაიწყო ხანძარი და გოგონა ცოცხლად დაიწვა...

## საიდუმლო კროსვორდი

ამ უცნაური შემთხვევის შესახებ არაერთხელ დაწერილა. მაგრამ ამის გამო ეს ამბავი ნაკლებად უცნაური არ გამხდარა და დღემდე ვერავინ შეძლო ლოგიკური ახსნა მოეძებნა მომხდარისთვის...

მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებში მთელი მსოფლიო შეპყრობილი იყო საიდუმლოებებით. 1944 წელს მოკავშირეები ნორმანდიაში ჯარების გადასხმას გეგმავდნენ. ოპერაცია საიდუმლოდ მზადდებოდა, ინფორმაციას მისი მზადების შესახებ არ უნდა გაეჟონა. და აი, ერთხელ, გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ საკვირაო ნომერში გაჩნდა ჩვეულებრივი კროსვორდი, რომელიც შემთხვევით ჩაუვარდა ხელში არმიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

მან კროსვორდის ამოხსნა დაიწყო და გაოგნებულმა დაინახა, რომ ყველა ამოხსნილი სიტყვა საიდუმლო ოპერაციის გასაიდუმლოებული კოდური დასახელებები იყო: „ნეპტუნი“, „იუტა“, „ომახა“ და თავდად დესანტის გადასხმის სახელიც — „იუპიტერი“. სამხედრო შტაბში დიდი აურზაური დაიწყო. კონტრმზვერავები გაზეთის რედაქციაში მიავლინეს, რათა გაერკვიათ, რატომ ახორციელებდა ქვეყნის ერთ-ერთი უმსახვილესი და უცნობილესი გაზეთი ქვეყნის ღალატს და, ყველაზე მთავარი, შეეტყოთ, საიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომელიც გრიფით „საიდუმლო“ ინახებოდა. რედაქციაში არმიის დაზვერვის თანამშრომლების ვიზიტი გაიკვირვეს. მათ აცნობეს, რომ კროსვორდი მოხუცმა მასწავლებელმა გაუგზავნა მათ, რომელიც გაზეთთან უკვე მრავალი წელია, თანამშრომლობს.

მზვერავები მასწავლებელთან მივიდნენ და ლამის გულის შეტევამდე მიიყვანეს იგი. ასაკოვან მამაკაცს ვერც კი წარმოედგინა, რომ კროსვორდების შედგენის გამო შეიძლებოდა სახელმწიფო ღალატში ბრალდება წაეყენებინათ.

კროსვორდის შემადგენელი სიტყვებისა და ოპერაციის დასახელებებს შორის დამთხვევა შემთხვევითობა იყო, მაგრამ ამ შემთხვევითობამ ლამის ჩაშალა ნორმანდიაში ჯარების გადასხმა



და შეცვალა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა...

არანაკლებ უცნაური დამთხვევა მოხდა მეოცე საუკუნის დასაწყისში აშშ-ში. 1900 წელს ქალაქ გალვესტონს თავს ქარიშხალი დაატყდა. წყალმა აღგავა პირისაგან მიწისა თითქმის მთელი ქალაქი, მათ შორის, სასაფლაოც გადარეცხა. ამ სასაფლაოზე განისვენებდა ცირკის აკრობატი მაიკლ უილიამსი, რომელიც ქარიშხლამდე ერთი წლით ადრე დაიმტვრა საგასტროლო გამოსვლების დროს. კუბო წყალმა მექსიკის ყურისკენ წაიღო და ცხრა წლის შემდეგ გამორიყა წმინდა ლავრენტის ყურეში. ყველაზე საოცარი ამ ამბავში ის იყო, რომ ნაპირზე იდგა სახლი, რომელშიც მაიკლ უილიამსმა მთელი თავისი ცხოვრება გაატარა...

## ორნი მოპედზე

ზოგჯერ ისეთი უცნაური დამთხვევევი ხდება, რომ მათი დაჯერებაც კი გიჭირს. მაგალითად, ბუდაპეშტში რამდენიმე წლის წინათ ასეთი ინციდენტი მოხდა: ახალგაზრდა ნასვამი მამაკაცი ფანჯრიდან გადმოვარდა და ქვემოთ მიმავალ მამაკაცს დაეცა. იგი გადარჩა, სამაგიეროდ, ფეხით მიმავალმა მამაკაცმა მიიღო დაზიანებები. ეს შემთხვევა არავის მოეჩვენებოდა უცნაურად, რომ არა ერთი წლისწინანდელი შემთხვევა, როცა იგივე ახალგაზრდა იმავე მამაკაცს დაეცა...

მსგავსი ამბავი შეემთხვა ორ ესპანელ ახალგაზრდას. ორი ძმა ღამით დისკოტეკიდან ბრუნდებოდა მოპედით და მათ დიდი სიჩქარით მიმავალი ტაქსი დაეჯახა, რომელმაც გზა შეუჩერებლად გააგრძელა. ძმებმა რამდენიმე კვირა გაატარეს საავადმყოფოში. როცა ისინი საავადმყოფოდან გამოეწერენ, ახალი მოპედი შეიძინეს და მეგობრებთან სტუმრად გაემართნენ. შინისკენ მიმავლებს კვლავ ტაქსი დაეჯახათ, რომელსაც იგივე მძღოლი მართავდა.

არანაკლებ საოცარი დამთხვევა მოხდა ბულგარეთში. ქურდმა მილკო სტოიანოვმა მდიდრების სახლი გაძარცვა. სახლის სწრაფად დატოვების მიზნით მან წყალსადინარი მილით ჩასვლა გადაწყვიტა. იგი პოლიციელებმა შენიშნეს და სტვენა დაიწყეს. ქურდი შიშისგან ჩამოვარდა და ვიღაც ადამიანს დაეცა. პოლიციელებმა ჯერ სტოიანოვს დაადეს ხელბორკილები, მერე კი დაზარალებულს. როგორც აღმოჩნდა, დაზარალებულიც ქურდი ყოფილა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ სამართალდამცავი ორგანოები. ამ ამბავში ყველაზე საოცარი ის არის, რომ მეორე ქურდსაც მილკო სტოიანოვი ერქვა...

მოგვარეების არანაკლებ უცნაური შეხვედრა მოხდა მილანში. ჯაკომო ფელიჩე საკუთარი მანქანით ქალაქში დასეირნობდა. მოულოდნელად დიდი სიჩქარით მომავალი მანქანა გამოჩნდა. ჯაკომო უკვე გამოემშვიდობა სიცოცხლეს, მაგრამ ძლიერი შეჯახების შემდეგ მხოლოდ პატარა ნაკაწრებით გადარჩა. სოსცალი გადარჩა მეორე მძღოლიც, რომელსაც ჯაკომო ფელიჩე ერქვა...

## სამჯერ სამი...

უცნაური შემთხვევა მოხდა ერთხელ იტალიაში. პოლიციელი დინო კუარდი ავარიაში მოყვა, როცა უკაცრიელ ქუჩაში დამნაშავეს მისდევდა. მან არტერია დაიზიანა ფეხზე, გონება დაკარგა და სისხლისგან იცლებოდა. შემთხვევითმა გამვლელმა ლეონე რეჯანემ პოლიციელს ჭრილობა შეუხვია, გონებაზე მოიყვანა და ამით მისი სიცოცხლე გადაარჩინა. სამი წლის შემდეგ კუადრიმ გზაზე ავარია შენიშნა. დაზარალაბული მძღოლი უგრძნობლად იწვა, ფეხიდან კი სისხლი სდიოდა. პოლიციელმა გადაარჩინა დაზარალებული, რომელიც მის გასაკვირად ლეონე რეჯანე აღმოჩნდა...

ლუიზიანას შტატში ერთხელ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს სამ დამნაშავეს, რომლებმაც მდიდარი ადამიანი კლაივ დორიტი მოკლეს. მკვლელობა სტილროუდ-პლეისზე მოხდა. სიკვდილმისჯილთა გვარები იყო სტილი, როუდი და პლეისი...

ხოლო ავსტრალიელი ქალბატონი, რომლის გვარია ტრიპლეტი, რაც გადაითარგმნება, როგორც „სამმაგი“, მთლიანად შეესაბამება საკუთარ გვარს. იგი დაიბადა მესამე თვის სამ რიცხვში, მთელი ცხოვრება ცხოვრობს მესამე სართულის მესამე ბინაში. გარდა ამისა, იგი სამჯერ იყო გათხოვილი და ჰყავს სამი შვილი...

ყველა ეს შემთხვევა წარმოუდგენლად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ, ისინი მუდმივად ხდება ჩვენს გვერდით და გაოცებას იწვევენ იმ მოულოდნელობების წინაშე, რასაც ცხოვრება გვთავაზობს...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com